# იცნობდეთ: ესენი სიტყვას არ ღალატობენ


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 205 (12119) | ხუთშაბათი, 7 სექტემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.





საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

В. Ульянов (Ленин)

სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

## შენთვის, ჩემო სამშობლოვ!

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქაური ფერომდნობელები შრომითი მიღწევებით ხვდებიან პარტიის XXII ყრილობას. კვლავ ჩვეული თავდადებით მუშაობენ ს. კვინიკაძის, ს. ფერაძის, შ. ლადუნაშვილის, ვ. ყანჩაველის, ი. კოზირიძის, კ. ცქიფურიშვილის, კ. მდივნისა და რ. სხილაძის კომუნისტური შრომის ბრიგადები. ისინი გეგმის გადამეტებით იძლევიან შენადნობს, მომჭირნეობით ხარჯავენ ელექტროენერგიას.

პირველი სამქროს მეორე ღუმელის ის ბრიგადები, რომლებსაც ვ. ხუჯაძე, ლ. კობახიძე, ს. ვერულაშვილი და დ. ჯულელი ხელმძღვანელობენ, კომუნისტური შრომის სახელის მოპოვებისათვის იბრძვიან. მათ გადაჭარბებით შეასრულეს რვა თვის დავალება და ერთ მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია დაზოგეს. კიდევ უკეთ მუშაობს მეორე სამქროს კოლექტივი, რომელმაც რვა თვეში ცხრა თვის დავალება შეასრულა, სამშობლოს მისცა ათას ტონობით ზეგეგმითი ძვირფასი შენადნობი და მარტო ივლის-აგვისტოში 800.000 კილოვატსაათი ენერგია დაზოგა.

ჭიათურა. (საკ. კორ.) პარტიის ახალი პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვა-შესწავლამ დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს კოლექტივში, რომელიც ნიკოპოლელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება.

განსაკუთრებული ნაყოფიერებით შრომობენ სახარატო-მექანიკური საამქრო და ელექტროსაამქრო, რომელთა კოლექტივები მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

მთავარი მექანიკური სახელოსნოს კოლექტივმა 35 დღით ადრე შეასრულა ცხრა თვის დავალება და პროდუქციას ოქტომბრის ანგარიშში იძლევა.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელმაც სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღა, 5 სექტემბრისათვის შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა. მარტო აგვისტოში გამოშვებულია სამი ათას ტონაზე მეტი პირველხარისხოვანი მარგანეცი. მაღაროელები ბ. აბრამიშვილი, დ. ბუზალაძე, ტ. ჩიგლაძე, პ. გოგატიშვილი და სხვები ყოველდღიურად ერთნახევარჯერ მეტ მარგანეცს უშვებენ, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

მაღაროს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა სექტემბრის გეგმის გადამეტებით გამოუშვას ათეულ ათასობით ტონა სასაქონლო მარგანეცი.

ენგურის ხე-ტყის დაცურების კანტორის კოლექტივი წარმატებით ეწევა პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ ვახტს. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების რვა თვის გეგმა 114 პროცენტით გაინაღდა. თვითღირებულება შემცირა 4,2 პროცენტით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 0,5 პროცენტისა.

საწარმოო გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს წარმოების იმ ობიექტებმა, რომლებსაც გრ. აქუბარდია, ი. ჩიქობავა, ქ. აკობია, ნ. ქვარაცხელია ხელმძღვანელობენ.

გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მეჯალამბრე ა. ქარდავა, ზეინკალი ვ. ქართველიშვილი, ტრაქტორისტი ლ. პონომარიოვი.

### ჩვენი სიტყვა მტკიცეა

ჩვენს ბრიგადას 53 ჰექტარზე უთესია „მინდვრის დედოფალი". აქედან 25 ჰექტარი მაღალმოსავლიანია — ჰექტარზე უნდა ავიღოთ 110 ცენტნერი სიმინდი, დანარჩენი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 40 ცენტნერი.

სიმინდის აღება უკვე დავიწყეთ. პირველად სათესლედ შერჩეული ნაკვეთი გავჰერით. ვალდებულება გვქონდა ნაკისრი ამ ნაკვეთის ყოველ ჰექტარზე 30 ცენტნერი სიმინდი აგვეღო, ფაქტიურად ავიღეთ 45 ცენტნერი.

პირველი შედეგები, როგორც ვხედავთ, კარგია — ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად ვასრულებთ.

ორ-სამ დღეში მასობრივად გავაჩაღებთ სიმინდის აღებას. ჩვენ დიდმოსავლიან ნაკვეთებზეც ისეთ მოსავალს მივიღებთ, რომ თქვენ — „ყოჩაღ, ჩუმლაყელებო, სიტყვის ხალხი ყოფილხართ!"...

დავით მღებრიშვილი,
გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი

## 165.000 ტონა ჩაისათვის!

### დობილების სიბეჯითე



ისეთი შესანიშნავი მეჩაიეებით, როგორიც სოფელ ქვილიშორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ჰყავს, თელი წყალტუბოს რაიონი ამაყობს. მაგრამ ნაზი ვარდანიძის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი მაინც სხვაა, მაინც გამოირჩევა.

ცხრა ქალიშვილისაგან შემდგარ რგოლს წელს 20 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფა. დავალება ადვილი როდი იყო, მაგრამ დობილების სიბეჯითემ თავისი გაიტანა. რგოლმა უკვე 22 ტონაზე მეტი ნედლეული მოკრიფა და კოლმეურნეობაში ყველაზე უწინ გაანაღდა წლიური დავალება.

პირადად მერგოლურმა ნაზი ვარდანიძემ 4.100 კილოგრამი ჩაი მოკრიფა — წლიური გეგმა ორმაგად შეასრულა. იგი სეზონის ბოლომდე კიდევ ერთი ტონა ნედლეულის მიღებისათვის იბრძვის.

— „ოქროს ხელებიანი" — ასე ეძახიან კომკავშირელ გოგუცა გოგიძეს. გეგმით გათვალისწინებული 1.700 კილოგრამის ნაცვლად 3.140 კილოგრამი ნედლეული მოკრიფა და გადაწყვიტა სეზონის ბოლომდე ეს მაჩვენებელი 4 ათას კილოგრამამდე აიყვანოს. მარჯვენას უქნებენ ადელა კაკაურიძეს, ოლია და თინა ვარდანიძეებს და რგოლის სხვა წევრებს, რომელთაგან თვითეულს 2.5-3 ტონა ჩაის ფოთოლი აქვს მოკრეფილი.

დობილების რგოლმა იკისრა სეზონის ბოლომდე სამშობლოს კიდევ მისცეს 5 ტონა ზეგეგმითი ნედლეული.



სურათებზე: მერგოლური ნაზი ვარდანიძე და მეჩაიე გოგუცა გოგიძე (ზევით).
ფოტო გ. ლომიძისა.

## ყოჩაღ, მესიმინდეებო!

### აი, ვინ იღებს 60 ცენტნერზე მეტ სიმინდს

ლაგოდეხის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებში სიმინდის ხვავები გამრავლდა. კოლმეურნეები ნაამაგარს იმკიან, ხარობენ უხვი მოსავლით.

ცუდი ამინდების მიუხედავად შარშანდელთან შედარებით სიმინდის დიდი მოსავალი მოჰყავთ სოფელ შრომის კოლმეურნეობაში. გამოცდილმა მესიმინდეებმა მ. ალადაშვილმა, ა. ბენაშვილმა, ს. ბლიაძემ, რომელთაც მოსავლელად მიჩენილი ჰქონდათ თითო ჰექტარი, ნაცვლად 60 ცენტნერისა ჰექტარზე 101 ცენტნერი მარცვალი მიიღეს.

სოფელ აფენის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც შ. ჩალაძე უძღვება, სიმინდის მოსავალი აიღო 7 ჰექტარზე. ამ ბრიგადის წევრები ჩაბმული არიან უხვი მოსავლის მოყვანისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში. მათ იკისრეს ყოველ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდის მიღება, ფაქტიურად 85 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღეს თვითეულ ჰექტარზე.

სოფელ კალინოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდემ ნ. სიროდივიმ ჰექტარზე 76 ცენტნერი სიმინდი მიიღო ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 50 ცენტნერისა.

თავიანთი სიტყვა პირნათლად შეასრულეს მესიმინდეებმა ვ. ლიხინოვმა, ვ. კლინოვმა და სხვებმა.

სიმინდის აღება რაიონში წარმატებით გრძელდება.

* * *

ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" მექანიზატორმა ოთარ ბურჯანაძემ ვალდებულება იკისრა კვადრატულ-ბუდობრივად დათესილი სიმინდის ყოველ ჰექტარზე მიეღო 66 ცენტნერი. ნაკისრ ვალდებულებას წარმატებით ასრულებს. იგი კომბაინით ჰექტარზე საშუალოდ იღებს 75 ცენტნერ სიმინდის მარცვალს.



სურათზე: ო. ბურჯანაძე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ნ. ს. ხრუშჩოვის მიმართვა

### საბჭოთა კავშირის პარიზის გამოფენის დამთვალიერებლებისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა პარიზში საბჭოთა გამოფენის გახსნის გამო მიმართვა გაუგზავნა გამოფენის დამთვალიერებლებს. მიმართვაში იგი საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კავშირის მთავრობის, აგრეთვე პირადად თავისი სახელით გულითად სალამს უთვლის მთელ ფრანგ ხალხს და გულწრფელად უსურვებს ბედნიერ, მშვიდობიან ცხოვრებას.

საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია მიმართვაში, ოდითვე მეგობრობისა და პატივისცემის ღრმა გრძნობით ეპყრობიან სახელოვან ფრანგ ხალხს, დიდად აფასებენ შრომისმოყვარე ფრანგი ხალხის წარმატებებს ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ეს წარმატებანი, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, აისახა საფრანგეთის ეროვნულ გამოფენაზე მოსკოვში, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა ადამიანებში. საბჭოთა მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ საბჭოთა გამოფენა პარიზში ფრანგი ხალხის ყურადღებას მიიპყრობს.

ნ. ს. ხრუშჩოვი მიმართვაში დაწვრილებით ჩერდება საბჭოთა კავშირის მიღწევებზე მეცნიერების, ტექნიკის დარგში, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და კულტურის ზრდაზე, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან. საბჭოთა გამოფენაზე პარიზში, ნათქვამია მიმართვაში, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ არა მარტო ის, რაც ჩვენ დღეს გვაქვს, არამედ ისიც, რაც ხვალ გვექნება. ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი ამოცანად ისახავენ ორი ათწლეულის მანძილზე ძირითადად ააშენონ სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოება. საბჭოთა ადამიანები ისეთი მატერიალური და სულიერი აყვავების პირობებში იცხოვრებენ, როგორიც ჯერ არასოდეს არ ყოფილა დედამიწაზე.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ხაზგასმულია მიმართვაში, გადაჭრით უარვყოფთ ომს, როგორც ყოვლგვარი საერთაშორისო დავის გადაჭრის საშუალებას. ჩვენ ვიცით, თუ რა აურაცხელი უბედურება მოაქვს ომს კაცობრიობისათვის. ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 43 წლიდან თითქმის ნახევარი მოხმარდა ომებს, რომლებიც თავს მოახვიეს საბჭოთა ხალხს, ან მეურნეობის ომისშემდგომ აღდგენას. მთელი ეს წლები ეკონომიკის განვითარებასა და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებას რომ მოხმარებოდა, ხოლო ეს, ვიმეორებ, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი საზრუნავია, ჩვენს ქვეყანაში უკვე ახლა იქნებოდა მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ეკონომიკა და ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც თანამიმდევრულად და მტკიცედ იბრძვის მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, მოუწოდებს ყველა ქვეყანას საყოველთაო და სრული განიარაღებისაკენ ეფექტიანი კონტროლით. ჩვენ, ნათქვამია მიმართვაში, ძალღონეს არ დავზოგავთ, რათა მივაღწიოთ თანამედროვეობის ამ საარსებო პრობლემის გადაჭრას და გავათავისუფლოთ ხალხები საშინელი ხარჯების ტვირთისაგან და ახალი გამანადგურებელი ომის საფრთხისაგან. ჰუმანურობისა და სამართლიანობისათვის აგრეთვე მოგიწოდებთ ბოლო მოვუღოთ ჩვენს პლანეტაზე კოლონიური ბატონობის ყოველ გამოვლინებას, გააჩაღოთ აქტიური ბრძოლა კოლონიური წესების — წარსულის ამ არქაული ნაშთების რესტავრაციის ცდების წინააღმდეგ.

მიმართვაში შემდეგ ნათქვამია, რომ მშვიდობისა და ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადებანი გერმანიის საზავო ხელშეკრულების დაუყოვნებლივ დადებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის შესახებ. ჩვენი წინადადებების ერთადერთი მიზანია, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, ბოლო მოვუღოთ მეორე მსოფლიო ომის ნაშთებს, მოვახდინოთ ევროპის მდგომარეობის ნორმალიზაცია, შევანელოთ ამჟამად არსებული დაძაბულობა, რომელიც საშიშია მშვიდობის საქმისათვის. ამასთან ჩვენ არ ვეძებთ რაიმე შენაძენს ან უპირატესობას, არა ვცდილობთ დავამციროთ ვინმე ან შევლახოთ ვისიმე უფლებები და ინტერესები.

ნ. ს. ხრუშჩოვი მიმართავს ფრანგებს — საბჭოთა გამოფენის დამთვალიერებლებს საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით და გამოთქვამს იმედს, რომ გამოფენათა ურთიერთგაცვლა ხელს შეუწყობს საბჭოთა და ფრანგი ხალხების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, ხელს შეუწყობს არა მარტო ურთიერთსასარგებლო ვაჭრობის, კულტურული და მეცნიერული გაცვლის შემდგომ გაფართოებას, არამედ აგრეთვე ჩვენი ხალხების ურთიერთგაგების გაუმჯობესებას. (საქდესი).

## ჯ. ნერუ მოსკოვში

მოსკოვი, 6 სექტემბერი. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით დღეს მოსკოვში ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ.

გულითადად შეხვდა დედაქალაქი საპატიო სტუმარს. სადღესასწაულოდ მორთულ დღეს მისი ქუჩები და მოედნები, რომლებიც დედაქალაქის საჰაერო კარისაკენ მიდიან.

ვნუკოვოს აეროდრომი. მაღალ ანძებზე ფრიალებს ორივე ქვეყნის სახელმწიფო ალმები. აეროვოგზლის მთავარი შენობის ფრონტონზე დიდი ტრანსპარანტია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!". ასაფრენ მინდორზე ჩამწკრივებულია მოსკოვის გარნიზონის ჯარების საპატიო ყარაული. დიდიხნით ადრე თვითმფრინავის მოსვლამდე აქ შეიკრიბნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის პრემიერ-მინისტრ ჯ. ნერუს შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ამხანაგები ნ. გ. იგნატოვი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ნ. რუდნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა. ა. ანდრეევი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები და სხვა ოფიციალური პირები.

შემხვედრთა შორის არიან ინდოეთის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში სუბიმალ დატი, ინდოეთის საელჩოს თანამშრომლები, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც სსრ კავშირში არიან აკრედიტებული. საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტები.

14 საათსა და 55 წუთზე საჰაერო ხომალდი, რომელშიც ჯ. ნერუ იმყოფება, დაეშვა მიწაზე და აეროპორტის შენობასთან გაჩერდა. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები გულთბილად მიესალმნენ ჯ. ნერუს. ბავშვებმა სტუმარს ყვავილები მიართვეს.

ჯ. ნერუმ და ნ. ს. ხრუშჩოვმა საპატიო ყარაულის მწყობრს ჩამოუარეს. სრულდება ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ნ. ს ხრუშჩოვმა და ჯ. ნერუმ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

აეროდრომიდან ჯ. ნერუ და ნ. ს. ხრუშჩოვი ქალაქში წავიდნენ მანქანით, რომელსაც ახლავს მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტი.

დედაქალაქის ქუჩებში ათასობით მოსკოველი გულითადად მიესალმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ჯ. ნერუს და ნ. ს. ხრუშჩოვს. საბჭოთა ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის ვიზიტი სსრ კავშირში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხების ტრადიციული მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის.

### მოსკოვში ჩამოვიდა დოქტორი კვამე ნკრუმა

მოსკოვი, 6 სექტემბერი. (საქდესი). დღეს ბელგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდა განის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის მეთაური დოქტორი კვამე ნკრუმა.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო განისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, დოქტორ კვამე ნკრუმას შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირები.

დოქტორი კვამე ნკრუმა მიემგზავრება ყირიმის შავი ზღვის სანაპიროზე, რათა განაგრძოს დასვენება.

## უპატაკებენ შესრულებას

მახარაძე. („კომუნისტის" კორ.). სოფელ შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ, რომლის თავმჯდომარეა დ. მდინარაძე, რაიონში პირველმა გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. 683 ტონის ნაცვლად მოკრიფა და მრეწველობას ჩააბარა 683 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. მეჩაიეებმა იკისრეს სკკპ XXII ყრილობის გახსნის წინადღეებში პარტიას უპატაკონ გეგმის გადამეტებით 78 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა.

გალინა და მარიამ ლუმბაძეებმა, რომლებმაც გეგმით გათვალისწინებული ოთხი ტონის ნაცვლად ხუთ-ხუთი ტონა ჩაი მოკრითეს, იკისრეს დამატებით კიდევ მოკრიფონ ათას-ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

## მეჩაიეები კისრულობენ...

ქობულეთი. (საკ. კორ.). შრომაში მოპოვებული ახალი მიღწევებით ხვდებიან სკკპ XXII ყრილობას რაიონის კოლმეურნეობები. სოფელ ციხისძირის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა გეგმით გათვალისწინებული 502 ტონის ნაცვლად უკვე მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 508 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. სეზონის ბოლომდე კიდევ მოკრეფენ 65 ტონას. ბრიგადამ, რომელსაც ს. კონდელიძე უძღვება, სამი ტონით გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებულ მოსავალს.

## ბერლინში საბჭოთა ჯარების გარნიზონის კომენდანტის განცხადება

ბერლინი, 6 სექტემბერი. (საქდესი). მიმდინარე წლის 26 აგვისტოს ამერიკელი სამხედრო კომენდანტი დასავლეთ ბერლინში გენერალი უოტსონი ეწვია ბერლინში საბჭოთა ჯარების გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ სოლოვიოვსა და სიტყვიერი განცხადება გაუკეთა მას იმ ღონისძიებათა გამო, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განახორციელა დასავლეთ ბერლინის საზღვრების განსამტკიცებლად. ამერიკელი კომენდანტი კვლავ შეეცადა ჩარეულიყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეებში.

მიმდინარე წლის 5 სექტემბერს პოლკოვნიკმა სოლოვიოვმა საპასუხო განცხადება გაუკეთა ამერიკელ კომენდანტს, რომელშიც ერთხელ კიდევ განმარტა, რომ გენერალ უოტსონის მიერ დასმული საკითხები მთლიანად ეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალთა კომპეტენციას, რომელსაც, ისევე როგორც სხვა სუვერენულ სახელმწიფოს, უფლება აქვს მიიღოს ყოველი ღონისძიება თავისი უშიშროების უზრუნველყოფისათვის. იმის გამო, რომ ამერიკელმა კომენდანტმა ნებისმიერად განმარტა ბერლინში საბჭოთა ჯარების გარნიზონის კომენდანტის ფუნქციები, პოლკოვნიკმა სოლოვიოვმა უთხრა ამერიკელ გენერალს, „საბჭოთა კომენდანტის რწმუნებულებებს განსაზღვრავს საბჭოთა სარდლობა, და არა დასავლეთ ბერლინის ამერიკელი კომენდანტი".

პოლკოვნიკმა სოლოვიოვმა განაცხადა შემდეგ, რომ მას სრულიად დაუშვებლად მიაჩნია ის, რომ გენერალმა უოტსონმა ამა წლის 26 აგვისტოს განცხადებაში უფლება მისცა თავის თავს უპატივცემლოდ მოქცეოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალთ. საბჭოთა კომენდანტმა მიუთითა ამერიკის შეერთებული შტატების კომენდანტს, რომ „იგი უფრო დიდი პატივისცემით უნდა მოექცეს იმ სახელმწიფოს უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებებს, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს დასავლეთი ბერლინი და რომელთანაც საბჭოთა კავშირს დამყარებული აქვს ყველაზე მეგობრული სამოკავშირეო ურთიერთობა".

საბჭოთა კომენდანტმა გენერალ უოტსონის ყურადღება მიაქცია ორ შემთხვევაზე, როცა დასავლეთბერლინელმა ხულიგნებმა დააკავეს სამხედრო ავტომანქანა საბჭოთა სამხედრო პერსონალით, რომელიც მიდიოდა ბერლინის საჰაერო უშიშროების ცენტრში, რაც დასავლეთ ბერლინშია განლაგებული. მან განუცხადა ამერიკელ კომენდანტს, რომ „დასავლეთბერლინელი პროვოკატორების ცდებს, რომლებსაც მხარს უჭერენ ამერიკელი თანამდებობის პირები, ხელი შეუშალონ საბჭოთა პერსონალის ნორმალურ მუშაობას ბერლინის საჰაერო უშიშროების ცენტრში, შეუძლიათ უაღრესად უარყოფითი გავლენა მოახდინონ ამ ორგანოს საქმიანობაზე.

თუ ვინმეს ნამდვილად აქვს განზრახვა ხელი შეუშალოს ბერლინის საჰაერო უშიშროების ცენტრის მუშაობას, პასუხისმგებლობა ასეთი პროვოკაციების შესაძლო არასასურველი შედეგებისათვის სავსებით დაეკისრებათ დასავლეთ ბერლინის საოკუპაციო ხელისუფლებებს".

იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე წლის 24 აგვისტოს ფრიდრიხშტრასეს რაიონის საკონტროლო პუნქტში დასავლეთბერლინელი ფაშისტი პროვოკატორების ჯგუფი შეეცადა ხელი შეეშალა საბჭოთა სამხედრო ავტომანქანის მიმოსვლისათვის, რომელსაც ყარაულის მორიგი ცვლა მიჰყავდა საბჭოთა არმიის მებრძოლთა ძეგლისაკენ ტირგარტენში, საბჭოთა კომენდანტმა მოითხოვა, რომ „ბოლო მოეღოს პროვოკატორთა ამგვარ საქმიანობას, რომელსაც შეიძლება მოყვეს ყველაზე არასასურველი შედეგები".

## წინასაარჩევნო ტერორი დასავლეთ გერმანიაში

ბონი, 6 სექტემბერი. (საქდესი). წინასაარჩევნო კამპანიას დასავლეთ გერმანიაში თან ახლავს პოლიციელთა ტერორი. დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი ცდილობენ ჩააჩუმონ ის ადამიანები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომლებიც მოითხოვენ ძირეულად შეიცვალოს ბონის დამღუპველი მილიტარისტული კურსი.

როგორც პრესა იუწყება, ფლენსბურგის პროკურატურამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ დაპატიმრებულია ბუნდესტაგის არჩევნების კანდიდატი, დასავლეთ გერმანიის პარტია მშვიდობის მომხრე გერმანელთა კავშირის წევრი ოტო ხაინი, რომელიც დასახელებულია დითმარშენის (შლეზვიგ-ჰოლშტეინის მხარე) საარჩევნო ოლქში. პროკურატურამ საჭიროდაც არ მიიჩნია ეცნობებინა დაპატიმრების „მიზეზი". იუწყებიან, რომ „დაგეგმილი აქციის" დროს სხვებიც დააპატიმრეს.

## ლაოსელ მეამბოხეთა ახალი პროვოკაციები

პეკინი, 6 სექტემბერი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ლაოსიდან იუწყება, გუშინ ლაოსის მთავრობის ჯარებისა და პარტია ნეო ლაო ხაკ სატის სარდლობის წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება, რომელშიც მკვეთრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ფუმი ნოსავანის ხროვის სამხედრო თვითმფრინავების პროვოკაციული ფრენა ლაოსის განთავისუფლებულ რაიონებში.

10 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე განაცხადა წარმომადგენელმა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლაოსელ მეამბოხეთა სამხედრო თვითმფრინავები 20-ჯერ და მეტჯერ შეიჭრნენ განთავისუფლებული რაიონების საჰაერო სივრცეში ხინ-ხეკის ჩრდილოეთით და სალ ფუკუნის სამხრეთით.

შეიჭრნენ რა განთავისუფლებული რაიონების საჰაერო სივრცეში, ეს თვითმფრინავები, რომლებიც ვიენტიანის მხრიდან მოფრინავდნენ, აწარმოებდნენ ლაოსის მთავრობის ჯარებისა და პარტია ნეო ლაო ხაკ სატის საბრძოლო ნაწილების სამხედრო მიზნების დაზვერვას და ორჯერ ჩამოსხეს ბანდიტები და ჯაშუშები მუონგ კასის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე რაიონებში.

წარმომადგენელმა სავანაკეტის დაჯგუფებისაგან მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ყველა მოქმედება, რომელიც არღვევს ბრძანებას ლაოსში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

## უილიამ ზ. ფოსტერის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი

მოსკოვი, 6 სექტემბერი. (საქდესი). ათასობით მშრომელი შეიკრიბა დღეს წითელ მოედანზე. აქ გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ამერიკისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის საპატიო თავმჯდომარის უილიამ ზ. ფოსტერის ხსოვნას.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე, რომლის წინ დადგმულია ურნა განსვენებულის ნეშტით, არიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ო. ვ. კუუსინენი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, გ. ი. ვორონოვი, ვ. ვ. გრიშინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი კ. ე. ვოროშილოვი, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ელიზაბეტ გერლი ფლინი, ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე დოლორეს იბარური, ინდოეთის კომპარტიის გენერალური მდივანი აჯოი გჰოში, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები დ. ბალჟინიამი, ც. დუგერსურენი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ლიუ სიაო, ინგლისის კომუნისტური მოძრაობის ვეტერანი რობერტ სტუარტი, უილიამ ზ. ფოსტერის დაკრძალვის მომწყობი კომისიის წევრები.

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა.

პირველი სიტყვა დიდი მეგობრის — საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ვეტერანის, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის საპატიო თავმჯდომარის უილიამ ზ. ფოსტერის შესახებ წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ო. ვ. კუუსინენმა.

შემდეგ სიტყვა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის სახელით წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ელიზაბეტ გერლი ფლინმა. იგი ლაპარაკობს უილიამ ზ. ფოსტერის შესანიშნავ როლზე ამერიკის კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარებაში, მის შეურიგებელ ბრძოლაზე კაპიტალიზმის წინააღმდეგ, უილიამ ზ. ფოსტერის მხურვალე სიყვარულზე საბჭოთა ხალხისადმი.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ დოლორეს იბარურმა, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ლიუ სიაომ, ინგლისის კომუნისტური მოძრაობის ვეტერანმა რობერტ სტუარტმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ნ. დემიჩევმა.

მიტინგი დამთავრებულია. ელიზაბეტ გერლი ფლინმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა ხელში აიღეს ურნა უილიამ ზ. ფოსტერის ნეშტით და კრემლის კედლისაკენ წავიდნენ. სრულდება „ინტერნაციონალი". ურნას უილიამ ზ. ფოსტერის ნეშტით დგამენ კრემლის კედელთან.

ურნას ამერიკელი ხალხის სახელოვანი შვილის ნეშტით გადაიტანენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უილიამ ზ. ფოსტერმა — ამერიკისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ მთელი სიცოცხლე გაატარა.

**ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲧᲠᲘᲚᲝᲑᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ**

**ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲡᲙᲙᲞ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲡ**

*ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ*

# ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ, ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

**4 სექტემბერს** მზიანი, მაგრამ შემოდგომის გრილი ამინდი იდგა ახალციხეში. მესხეთის გულისკენ დაიძრნენ პარტიული კონფერენციის დელეგატები.

—საანგარიშო პერიოდში, რომელიც აღსავსეა უდიდესი ისტორიული მოვლენებით ჩვენს ქვეყანაში,—თქვა მომხსენებელმა, პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქერქაძემ, ჩვენი რაიონის მშრომელებმა — თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს. მათ სახელოვან შრომაში აღაფრთოვანებთ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტები, კომუნიზმის მშენებლობის დიდებული ამოცანები. ამას დაემთხვა ახალი სასიხარულო ამბავი — მესხეთის ერთ რაიონად გაერთიანება. ეს ღონისძიება საშუალებას მოგვცემს სწორად დავგეგმოთ სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, უკეთესად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები, დანიშნულებისამებრ გავანაწილოთ კადრები.

სკკპ პროგრამის პროექტში მიწის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდებისა და მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად არის მაჩნეული: **განხორციელდეს სოფლის მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებული განლაგება ბუნებრივ-ეკონომიური ზონებისა და რაიონების მიხედვით, მისი უფრო გაღრმავებული და მყარი სპეციალიზაცია, უპირატესად გაიზარდოს იმ სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, რომლისთვისაც საუკეთესო პირობებია და რითაც მიღწეულ იქნება დანახარჯების რაც შეიძლება მეტი ეკონომია.** ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის ღონისძიებებზე ბევრი საყურადღებო წინადადება იყო წამოყენებული მოხსენებაში, დელეგატების გამოსვლებში.

—ჩვენთან, — აღნიშნავდნენ ისინი, — საუკეთესო პირობებია მარცვლეულის, კერძოდ სიმინდის, ბოსტნეულის, ხილის, კარტოფილის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მითითებათა გათვალისწინებით წელს რაიონში 4.350 ჰექტარამდე გაზარდეს სიმინდის ნათესი ფართობი. საუკეთესოდ დაამუშავეს ნათესები და ძირითადი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 40-60 ცენტნერი სიმინდის მიღებას ვარაუდობენ. გადაჭარბებით შესრულდება ბოსტნეულისა და კარტოფილის მოსავლიანობის გეგმებიც. სიმინდისა და საკვები ბალახების მოსავლიანობის გადიდებით მნიშვნელოვნად განმტკიცდება მეცხოველეობის საკვები ბაზა.

ხილის მოსავლიანობის გადიდებისათვის შეაქეს დაბა ვალეს, სოფლების არალის, ურავლის, ასპინძისა და დიდი პამაჯის კოლმეურნეობები.

—მეხილეობა, — განაცხადეს დელეგატებმა ს. კაკაჩიშვილმა, შ. მიქელაძემ, ო. კორკოტიანმა, — მესხეთში ყველაზე შემოსავლიანი დარგია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი მესხური ბაღის აღდგენისა და მაღალხარისხოვანი სამრეწველო მეხილეობის განვითარებისათვის.

დელეგატებმა მოითხოვეს შვიდწლედის ბოლოს რაიონში ბაღების ფართობი აყვანილ იქნას 5.000 ჰექტარამდე ნაცვლად ამჟამად არსებული 2.035 ჰექტარისა, ხოლო მოსავლიანობა ჰექტარზე 100 ცენტნერამდე გაიზარდოს.

—ამისათვის, — აღნიშნავდნენ ისინი, —საჭიროა მეხილეობაში ფართოდ დავნერგოთ კომპლექსური მექანიზაცია, სპეციალიზაცია, მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება, მოვაგვაროთ რწყვის საქმე, განუხრელად განვახორციელოთ ყველა ის ღონისძიება, რომლებსაც გვისახავს სკკპ პროგრამის პროექტი.

დელეგატებმა წინადადება წამოაყენეს შვიდწლედის ბოლოსათვის 2,5-ჯერ გაიზარდოს ბოსტნეულის ნათესი ფართობი და მოსავლიანობა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რაიონში გადაჭარბებით არის შესრულებული პირუტყვის სულადობის გეგმები, აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის 9 თვის დავალებანი. მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაუშვეს სულადობისა და წველადობის შემცირება.

სკკპ პროგრამის პროექტში ნათქვამია, რომ **სწრაფი ტემპით განვითარდება მეცხოველეობა.**

დელეგატები ლაპარაკობდნენ სწორედ ამ საბრძოლო ამოცანაზე. ლ. ისაკაძემ, ს. კაპანაძემ, ვ. ლილუაშვილმა და ო. აკოფიანმა პრაქტიკული მაგალითებით დაასაბუთეს, რომ გამსხვილებულ რაიონს სრული შესაძლებლობა აქვს უახლოეს წლებში ხორცის წარმოება გაზარდოს ოთხჯერ, ხოლო რძის წარმოება—შვიდჯერ. ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. როცა ასეთი დასკვნები გამოჰქონდათ, ახალციხელი კომუნისტები ითვალისწინებდნენ იმ ამოცანების განხორციელების რეალურ შესაძლებლობებს, რასაც პარტია სახავს მეცხოველეობაში კომპლექსური მექანიზაციის გატარების, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, მათი ჯიშიანობის გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების, მტკიცე საკვები ბაზის შექმნისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდის საქმეში.

კონფერენციამ მოითხოვა ადიგენის მებოსტნეობა-მერძევეობისა და აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საცდელ-საჩვენებელ საბჭოთა მეურნეობებში ადგილობრივი პირობებისა და სპეციალიზაციის შესაბამისად დაინერგოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეცნიერულად და პრაქტიკულად დასაბუთებული სისტემები, რათა მათ ღირსეულად დაიმკვიდრონ საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების სახე და პროფილი, განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი მეფრინველეობის, მეღორეობისა და მეფუტკრეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმების რენტაბელობის ამაღლებისათვის.

კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობას. აღინიშნა თაბაშირის ქარხნისა და ახალციხის დიატომიტის მაღაროს კოლექტივების კარგი მუშაობა. შვიდწლედში გათვალისწინებულია ოთხჯერ გაიზარდოს დიატომიტის ამოღება.

წელს გამართულად მუშაობენ № 1 და № 4 შახტები. გაიზარდა ქვანახშირის ამოღება და შრომის ნაყოფიერება, საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. ამას ხელს უწყობს საწარმოს სიმძლავრეთა უკეთ გამოყენება, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის თანმიმდევრული განხორციელება.

—მაგრამ, — აღნიშნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ნოვატორმა მეშახტემ ბ. ტეფნაძემ, — ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია შრომის ორგანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში. სკკპ პროგრამის პროექტის მითითება, რომ სათბობის წარმოების შემდგომი გადიდება კვლავ დარჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად, ახალციხელ სამთოელებს ავალებს უფრო თავდადებით იბრძოლონ იმისათვის, რომ შვიდწლედში 2,7-ჯერ გაზარდონ ქვანახშირის ამოღება.

—საჭიროა გავაძლიეროთ იდეოლოგიური და აღმზრდელობითი მუშაობა, — ამბობდნენ დელეგატები ვ. ძაძამია და ბ. ახვლედიანი. ამ საქმეში გონივრულად უნდა გამოვიყენოთ პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის მოწინავე ფორმები და მეთოდები.

სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების ირგვლივ მოხსენებათა გამო საყურადღებო წინადადებანი წამოაყენეს დელეგატებმა ს. სანიკიძემ, ს. ზერაკიძემ, ვ. ხაბაროვმა, ვ. ზაქროშვილმა, ი. ალანიამ, თ. ვოჟკინმა და სხვებმა.—ამ ისტორიული დოკუმენტების ფართო პროპაგანდა, — აღნიშნავდნენ ისინი, — ამჟამად პირველადი პარტორგანიზაციების ყველაზე საპატიო და საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს.

ახალციხელმა კომუნისტებმა გადაწყვიტეს, რომ მომავალ წელს 400 ჰექტარზე გააშენებენ ახალ ბაღს, საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 60 ცენტნერ ხილს, 150 ცენტნერ კარტოფილსა და 140 ცენტნერ ბოსტნეულს. უახლოეს წლებში მარცვლეულის წარმოებას გაზრდიან 4-ჯერ, ხილის წარმოებას—3-ჯერ, ხორცისას—4-ჯერ, რძისას—7-ჯერ, შვიდწლედის ბოლოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იყოლიებენ 10-11 ათას სულ ძროხას, 100 ათასამდე გაზრდიან ცხვრის სულადობას.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა ამხანაგმა **ა. ნ. ინაურმა.**

კონფერენციამ განაახლა პარტიის რაიკომის შემადგენლობა, აირჩია სარევიზიო კომისია და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატები.

* * *

**შედგა** ახლადარჩეული პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა პარტიის ახალციხის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ვ. ქერქაძე,** მეორე მდივნად — **გ. კაპანაძე,** მდივნად— **ს. პეტროსიანი.**

**ჰ. ხვადაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# ᲡᲐᲜᲓᲣᲮᲐᲫᲔ ᲙᲝᲢᲔ

*ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ*

**თბილისიდან** საქართველოს ყველა რაიონისაკენ მიდიან ავტობუსები. ერთი მათგანი, ვერცხლისფრად რომ კრიალებს, მცირე ხანში გადალახავს სურამის მწვერვალებს...

სწორედ ასეთ ავტობუსში შეხვდებით ზუგდიდელებს, გალელებს, აფხაზებს, მათ შორის მეტი წილი კოლმეურნეა, ისინი შინისაკენ მიიჩქარიან. თუ მათ გადალაპარაკებას დაუკვირდებით, მიხვდებით: ზუგდიდელებს და კიდევ უფრო შორეული რაიონის კოლმეურნეებს მატარებლითაც შეეძლოთ გამგზავრება, მაგრამ ავტობუსი არჩიეს.

— აქეთ დიდი მინდვრებია, თვალს წყალს დავალევინებთ. გზად მტკვარია, არაგვი, ქსანი, ლიახვი და ფრონეები. მხოლოდ აქეთ მგზავრობით გაივლი ქართლის ხუთ დიდ ტაფობზე, — და მგზავრი ჩამოგითვლის: დიღმის მინდორი, სამუხრანო ნარეკვავიდან იგოეთამდე, ხურვალეთის ვაკე სამთავისიდან გორამდე, დედოფლის სახნავები რუისიდან აგარამდე, ღოლღაური ხაშურამდე, ლორინაკალის ხოდაბუნი ტაშისკარში რომ თავდება.

სანახაობათა ამ მოყვარულს ყველა თავს უქნევს. მალე საუბარი საყოფაცხოვრებო საკითხებს გადასწვდება.

— შეხედეთ! შეხედეთ! — იძახის მგზავრი და იხედება ავტობუსის ფანჯარაში. ამ მგზავრს სხვებიც ბაძავენ. ფანჯრიდან მოჩანს ზღვასავით ლურჯად მოლივლივე ახალშენი ზვარი, რომელსაც კიდევ უკეთ მოვლილი სიმინდის ნათესები მოსდევს.

— მართლაც მშვენივრად მოვლილ-ნაპატრონევია! — ამბობს ვიღაცა.

— იმიტომ რომ უთუოდ მაგათ პატრონ კოლმეურნეებს კარგად შერჩეული გამგეობა და კიდევ უკეთესი თავმჯდომარე ჰყავთ, — შენიშნავს აქამდე მდუმარე მგზავრი ამ დროს სანახაობა იცვლება. მანქანამ დიდი მანძილი გაირბინა და მდინარის გაღმა მოექცა. იქ კი, სხვა სოფლის არემარეში ვაზი ჭრაქს მოუღუშნია, სიმინდი აჩალულა, სასილოსედაც კი ნაკლებია.

— ეე, ძმაო, ამ სოფლის თავმჯდომარეს ნავთი გადაასხი! — შენიშნავს მძღოლი.

თურმე ასეა. ნახელავით, ნაკეთობით, მარჯვენის ავ-კარგით ყველაზე ნათლად ჩანს ადამიანი, სოფელი, მხარე. პეიზაჟი კი ისევ იცვლება. ისევ კარგი ვაზი, ისევ კარგი სიმინდი, აქა-იქ ხვნასაც შესდგომიან. ბელტები ჰარაქიანად ამოუტრიალებიათ მძლავრ გუთნებს. აგერ კვლავ კარგი სიმინდი, რომლის დანახვითაც აშკარად მოხიბლული ზუგდიდელი შენიშნავს:

— ვაზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სიმინდში მაინც ბევრი ნუ გაგვეჯიბრება ზუგდიდელებს. მარტო ჩვენი ენგურის ტოტებს შუა მოქცეულ ნათესებს გადაავლეთ თვალი და... გაგიგონიათ კოტე სანდუხაძე? ჩვენებურია, დიახ, სოფელს ორსანტია ჰქვია.

— ერთი იცოდეთ, — სულ ახალი და ახალი ადამიანები რთავენ სიტყვას საუბარში. — მოსავალი, ძმაო, კარგი მუშის, თავგზიანი მეურნის გულმოდგინედ, ცოდნა-გამოცდილებით დამუშავებული მიწის თვისებაა. — და უმატებს: — დიახ სანდუხაძე მეც გამიგონია.

— მართალი ბრძანებაა, — უდასტურებს ზუგდიდელი, — თქვენი სიტყვა კარგ მუშაზე თქმული სწორია. განსაკუთრებით ის შეეხება იმ კუთხეს და რაიონებს, სადაც გვალვა, ცივ-მშრალი აღმოსავლეთის ქარი არ იცის, წვიმა ხშირია. თუ გვალვამ და სეტყვამ არა, აბა სხვა რამ უნდა შეუშალოს ხელი მაღალი მოსავლის მოყვანას, ვთქვათ, დასავლეთ საქართველოში? სწორედ ბედნიერებაა ისეთ კუთხეში ცხოვრება, რა კულტურასაც იტყვის კაცი, რაც იქ, ჩვენ მიწაზე არ ხარობდეს.

ყოველგვარი ჰირნახული, ჩაი, ტუნგო, ციტრუსები, ვაზი, დაფნა, მსხალი, ვაშლი, ლეღვი, ბროწეული, უნაბი, თხილი, კაკალი, რომელი ერთი უნდა დავასახელო? ყველა აქ ჩამოთვლილი, ადამიანის მასაზრდოებელი ნაყოფი მშვენივრად ხარობს დასავლეთ საქართველოს მიწაზე. მწიფდება და უმაღლესი ხარისხისაა. ქოქოსის კაკალი და ბანანი მართლაც არ მოდის, მაგრამ უმიზეზოდ დაშავებული ადამიანი არავის უნახავს.

**მ**ᲐᲦᲐᲚᲘ მოსავლის მომცემი რაიონების რიგში დგას ზუგდიდის რაიონი. ავიღოთ თუნდაც სიმინდი. ამ ჰირნახულის მოყვანა იქ ევროპა-აზიის კონტინენტებზე სიმინდის გაჩენის დღიდანვეა დამკვიდრებული. კოლმეურნეების წინაპრებს ეს მეტად ხელსაყრელი მარცვლეული დიდი რაოდენობით მოჰყავდათ... იქიდან, მარცვლად, თუ ტაროდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეზიდებოდნენ. გემებით გაჰქონდათ სიმინდი ევროპის ქვეყნებშიც და ამაში ენგურის ხეობა პირველ როლს ასრულებდა.

სიმინდი მთელ დასავლეთ საქართველოში ვაზთან და ჩაისთან ერთად ერთ-ერთი მთავარი და წამყვანი კულტურაა სახალხო მეურნეობაში. სიმინდით საზრდოობს იქ ადამიანი.

აბა გაიხსენეთ რა სიამაყით შემოუგამენ ხოლმე ჩვენი დიასახლისები სუფრაზე ქმარსა და შვილს, ნათესავსა და შემოსწრებულ სტუმარს კეცებზე დაბრაწულ მჭადებს, ღადარკვერას, ოხშივრიან ღომს! გაიხსენეთ ღომში ჩადებული სულგუნის გემო და ნიგვზით და პილპილით შეგემებული ქათმის ან ინდაურის საწებელი. სწორედ რომ ტყუილად არ არის ნათქვამი, ხონთქარი თითებს გაილოკავსო...

**ᲝᲠᲡᲐᲜᲢᲘᲐ** ენგურის ნაპირას არის. იგი თითქმის შუა გზაზეა ზუგდიდსა და ენგურის შავ ზღვასთან შესართავის შორის.

ენგურის სახელი, პარტიის ახალ წესდების გამოქვეყნების დღეებში ფართოდ და სწრაფად გახმაურდა. სამართლიანადაც! ყველამ გაიგო, რომ ქართველი ინჟინრების გაბედული პროექტი საფუძვლად დაედო დიდი ჰიდროელსადგურის მშენებლობას ამ მდინარეზე. წყლის გადამღობი, შემგუბებელი ჯებირი მდინარის ფსკერს ბარე ორმოცი მეტრით დასცილდება ძირს, მდინარის მაღლა კი სამასამდე მეტრზე ამაღლდება. წყალი შეგუბდება ენგურის დიდ და ღრმა ხეობაში. იგი აამუშავებს უდიდეს ტურბინებს. ამიტომაც სწრაფად გაჰყავთ მისასვლელი გზები და ხიდები. ასობით თვითსაცლელი მანქანა იმუშავებს კაშხლის ქარგილების ბეტონით ავსებაზე.

სოფლის მეურნეობაში კი ამ მდინარის ნაპირები დიდი ხანია ცნობილია. აქ მოდის შესანიშნავი ჩაი, სიმინდი, ხილი. სიმინდის ნოყიერი სილოსი დიდად უწყობს ხელს მესაქონლეობის განვითარებას.

დღესდღეობით ენგურის მომიჯნავე მინდვრებზე, ნაპირებზე სიმინდის მოყვანის პირველი ოსტატია კოტე სანდუხაძე. ამის დამტკიცებას არც ციფრი უნდა, არც ლარი და არც ხაზი. ინახულეთ მხოლოდ ორსანტიის სიმინდის ნათესები. კოტეს ნათეს და მოვლილ სიმინდში ცასაც ვერ დაინახავთ. იგი უფრო ბამბუკის საარაკო ტყეს მოგვაგონებს, ვიდრე ჩვეულებრივ სიმინდს. ყოველ ძირს მკლავის სიგრძე ორ-ორი, სამ-სამი ტარო გადაუშვერია განზე, საკმაოდ მაღალი უნდა იყო ტანად, რომ ტაროს შესწვდე, მოტეხო.

სიმინდს ქუჩუჩო შეხმობია, მტვერი ცვივა და ულვაშს მათრობელა საამური სუნი ასდის. მდინარე კი იქვე გვერდით გაგიჟებული ცხენების რემასავით მოთქრიალებს, მოშხუის. შენაცარტუტებული ლამოვან ნაპირებს ეხეთქება და ანგრევს.

— უჰ, უჰ, ეს ხომ ქვეყნიერებას დააქცევს! — აღმოგხდებათ, როცა სიმინდის ტევრს თავს დააღწევ და ენგურს გახედავ.

— მდინარე ყოველთვის ასეთი ნუ გგონიათ! — გელაპარაკებათ თექვსმეტიოდე წლის ყმაწვილი. — გვიან შემოდგომაზე ნახეთ. ფეხით გამიტპავს. ასევე იქცევიან გამოსოფლელი ბიჭები, რაკიღა ბურთის თამაში შეჯიბრი შეგვიყრობს.

— იქნება ბურთის თამაში ზაფხულზე მოგინდათ. მაშინ რით გახვალთ, ყმაწვილო, მდინარეში?

— ნავით. აგერ მიბია ფლატეს ძირას. — და ოდნავ ღიმილით უმატებს: — კოლმეურნეებს ზაფხულზე ბურთის დრო არა აქვს.

— მაშ თქვენ მენავე ყოფილხართ.

— მენავე კი არა, მესიმინდე გახლავარ.

— რა გქვიათ?

— რონიკ.

— გვარი?

— სანდუხაძე.

— კოტესი რა ხართ?

— ვაჟი.

— იცი თუ არა, მამა რას აკეთებს, როგორ და რამდენს თესავს?

— რა ბრძანებაა! მა რისი შვილი ვარ.

— სად არის ახლა?

— ჯიხაიშშია, საქმეზე. მკითხეთ რაც გნებავთ და ყველაფერზე გიპასუხებთ.

— თუ ასეა დავიწყოთ!

— მკითხეთ, ბატონო! — ამბობს რონიკ იმ კილოთი, როგორითაც ის მასწავლებელს კარგად მომზადებულ გაკვეთილს აბარებს ხოლმე.

— მამაშენზე გვითხარი რამე.

— მამაჩემი თავმჯდომარე არ გეგონოთ. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ორსანტიაში კონსტანტინე თორია არის. მამა მხოლოდ მერგოლურია. ამ რგოლს აბარია ორმოცდაორი ჰექტარი სიმინდი. ჩვენებური კოლმეურნეები ფიქრობენ ჰექტარზე სულ ცოტა სამოცდაათი ცენტნერი სიმინდი მოიყვანონ საშუალოდ, ესე იგი 420 ფუთი ხმელი მარცვალი. მამას პირადად მიმაგრებული ნაკვეთებიც აქვს. ერთ მათგანზე კოტე აპირებს ორასი ცენტნერი აიღოს. ეს ათას ორასი ფუთია ჰექტარზე.

— რამდენიო? ეს რას ნიშნავს?!

— თქვენ ეს შეიძლება გაგიკვირდეთ, მამას კი არა. ის დარწმუნებულია და ზედმეტს არაფერს იტყვის. რასაც იკისრებს, კიდევაც შეასრულებს.

რონიკ კმაყოფილების ნიშნად ქოჩორზე ხელს ისვამს და თვალები უბრწყინავს. მცირე დუმილის შემდეგ განაგრძობს საუბარს.

— როგორც მოგეხსენებათ, კოლმეურნეობა ცხრაასამდე ჰექტარ სიმინდს თესავს ორსანტიის აგარებში. წარმოიდგინეთ, მამაჩემის რგოლივით ყველამ სამოცდაათი ცენტნერი სიმინდი რომ მოიყვანოს. სად წავა საქმე, რა მოსავალი დახვავდება! სამოცდაათი ცენტნერის მოყვანა კი ყველას შეუძლია, თუ კი გაირჯებიან, არა მარტო ორსანტიის მიწებზე, არამედ ყველგან ზუგდიდის ვაკე სოფლებში ეს კიდევ არაფერი. გამოიანგარიშეთ: საშუალოდ სამოცდაათი ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს კოლმეურნეებმა ენგურის, ტეხურის, აბაშის, რიონის, ცხენისწყლის, მტკვრის, ლიახვის, არაგვის, ალაზნის, იორის ხეობებში და შირაქში. ეს ხომ ადვილი შესაძლებელია და დედავ... რა იქნება!

— ეე, ყმაწვილო, ძალიან შორს ხვევ ხელს.

— აკი მოგახსენეთ, რომ სიმინდის მოყვანაში მამას არ ჩამორჩება, ვიცი მიწა როგორ მოხნა, დავთესო, გავაპატივო, ტექნიკაც მოვიხმარო. ტექნიკუმსაც მალე ვათავებ და... განა არ შემიძლია ვიანგარიშო? — ამბობს რონიკ. თან თავი მაღლა აუწევია, რომ სიმინდის ტაროს კარგად შეხედოს.

სიხარულის გრძნობა გეუფლება რონიკთან ლაპარაკის დროს. ასე უნდა ესმოდეს შვილს მამისა. და ისევ სიმინდის მოვლა-მოყვანის ოსტატ მამამისზე ფიქრობთ.

**უ** ᲛᲘᲖᲔᲖᲝᲓ ქვეყანაზე არაფერი მოხდარა. არც კოტე სანდუხაძე ჩამოვარდნილა ციდან. იგი პირდაპირი შთამომავალია ქართველი გლეხისა, რომელმაც მიწაზე დიდი შრომის დახარჯვა იცოდა.

ნავში, ენგურის ტალღებს შორის, რონიკ განაგრძობს მამაზე საუბარს.

— ახლა მამა ოცდაჩვიდმეტი წლისაა. მაშინ კი 1955 წელს, როცა მერგოლურად აბელ ქირია იყო და მამაც მასთან მუშაობდა, ცხადია, გაცილებით ახალგაზრდა გახლდათ. თავი იმით გამოიჩინა, რომ კვადრატულ-ბუდობრივად თესვა პირველად მან შემოიღო. მალე ახალი რგოლი შექმნა. რგოლში მოხვდნენ სიმინდის მოყვანის ისეთი ოსტატები, როგორიც დაფინდი და ვაჟა ყურუები, ნუცა ხუხუა და გიორგი ტაბალუა არიან.

— ყოველთვის მაღალი მოსავალი მოჰყავთ?

— დიახ.

ნუთუ ამინდმა მაინც არ შეუშალა ხელი?

— ამინდმა? — იმეორებს რონიკ. — ორსანტიაში თუ გვალვა იქნება, სიმინდისათვის უკეთესია. წვიმა კი აქაურ კაცს მაღალი მოსავლის მოყვანაში ხელს ვერ შეუშლის. თუნდაც წლევანდელი მაგალითი: სულ წვიმები იყო და მაინც კარგი მოსავალია ჩვენ მხარეში.

რონიკ მარჯვედ უსვამს ნიჩბებს. ნავი გაჰყავს და გამოჰყავს ენგურის ტალღებში, ხანდახან გადაიხედავს მდინარეში, ადგილებს იხსომებს. ახლა თურმე ის დროა, როცა ენგურში ზღვიდან ზუთხი შემოდის, მთიდან კი გაორაგულებული კალმახები ზღვისაკენ მიდიან. რონიკს არაერთხელ გაუქაჩავს ისინი ანკესით და მამის წყრომა დაუმსახურებია. მშობლებს აკი არ უხარიათ, როცა შვილები მდინარეებს ეტანებიან ან საპანაოდ ან სათევზაოდ.

— ხომ არ იცით, რა მიზნები აქვს კოტეს მომავლისათვის?

— აკი მოგახსენეთ, გეუბნებათ რონიკ. — ჩვენი კოლმეურნეობა ცხრაას ჰექტარ სიმინდს თესავს. შეიძლება მამამ თავისი მიღწევა — სამოცდაათი ცენტნერი მარცვლის მოყვანა საშუალოდ ჰექტარზე, მთელ საკოლმეურნეო ფართობზე გაავრცელოს მომავალი გაზაფხულისათვის.

— შეძლებს კი?

— მომავალი დაგვანახვებს. მალე მეც დავამთავრებ ტექნიკუმს და ვნახოთ, მამაშვილის ძალა ერთად რას იზამს.

რონიკ თანდათან უფრო მარჯვედ უსვამს ნიჩბებს. მდინარის ნაპირებზე, კუნძულებზე, ბექობებზე უცნაურად ბდღვრიალა ყვავილები მოჩანან. ისინი კიაფობენ თეთრად, წითლად, ყვითლად და ლურჯად.

**ᲑᲝᲠᲘᲡ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ.**



**ს**ᲣᲠᲐᲗᲖᲔ: თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოთა ქარხნის აქტინომეტრიული უბნის მოწინავე ზეინკალი ელიზბარ ხუციშვილი (შუაში) გალვანომეტრების აწყობის ხარისხზე ესაუბრება ახალგაზრდა ამწყობ-ზეინკლებს: თინათინ ლომთაძეს (მარცხნივ) და მედეა ფანცულაიას, რომლებიც წარმოებაში ხუთი თვეა მოვიდნენ. ახალგაზრდებმა მუყაითი შრომით ქარხნის კოლექტივში კარგი ავტორიტეტი დაიმსახურეს.

ახლა დობილები სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგანან და საწარმოო დავალებებს წარმატებით ასრულებენ.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

# ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ?—ᲐᲘ, ᲘᲡᲘᲜᲘᲪ!

**ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ** პროგრამის პროექტზე, ჩვენი ცხოვრების დიდებულ მომავალზე საუბრობდნენ ჩოხატაურის რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატები, რომლებიც ადრე დილიდანვე შეიკრიბნენ კულტურის სახლის ეზოში. აქ იყვნენ საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორები — მეჩაიეები, მესიმინდეები, მეცხოველეები, მოწინავე მუშები, ინტელექტუალური შრომის მუშაკები.

— ჩვენი ზოტი ორი ათეული წლის შემდეგ ნამდვილ ქალაქს დაემსგავსება, — უყვებოდა დელეგატებს შორეული მთის სოფლის — ზოტის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. ართმელაძე. — ზოტელებს ეს არ გაუკვირდებათ, ოცი წლის წინათ ჩიტსაც უჭირდა იქ აფრენა... ახლა „პობედები" და „ვოლგები" დასრიალებენ ბახმაროს მთის კალთებზე გაშენებულ ამ სოფელში!

ზოტელებმა ამ რამდენიმე წლის წინათ მიჰყვეს ხელი მეჩაიეობას და ახლა რაიონში პირველობისათვის იბრძვიან, ჩაის დამზადების წლიური გეგმა უკვე 116,5 პროცენტით შეასრულეს.

მაგრამ ზოტი ამ მხრივ გამონაკლისი როდია. ყველგან დუღს შემოქმედებითი შრომა. მშრომელები ღირსეულ საჩუქრებს უმზადებენ პარტიის XXII ყრილობას.

მასების საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები.

ჩაი რაიონის სოფლის მეურნეობის სიამაყეა. ჩოხატაურელებს „მწვანე ოქროს" უხვი მოსავლის მიღების საუკეთესო ტრადიცია აქვთ. კონფერენციის დღისათვის მათ სამშობლოს მისცეს 4.380.260 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი და წლიურ დავალებას რამდენიმე დღეში გაანაღდებენ, გეგმის ზევით ასეულ ტონობით ფოთოლს ჩააბარებენ სახელმწიფოს. ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ ჩხაკოურას, ზოტის, ჩაისუბნის, ონჭეიქედის, ნაბეღლავის, საჭამიასერისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები, რომლებმაც უკვე შეასრულეს ჩაის დამზადების წლიური გეგმები და ახლა ზეგეგმითი ჩაისათვის იბრძვიან.

მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. აკ. გობრონიძემ და კამათის მონაწილე დელეგატებმა ამასთანავე აღნიშნეს, რომ მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო არტელებში მაქსიმალურად არ იყენებენ ყველა რეზერვს ჩაის დარგში ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. ძირგანახლების, ქვენობის, ბუკნარის, გორაბერეჟოულის კოლმეურნეობებში წელს შემცირებულა ჩაის მოსავლიანობა გასულ წელთან შედარებით. ეს კი იმით აიხსნება, რომ ამ სასოფლო-სამეურნეო არტელებში შეასუსტეს ხელმძღვანელობა, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

არც მეცხოველეობაშია ყველაფერი რიგზე. და ეს პირველ რიგში წველადობას ეხება. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 107 ლიტრით ნაკლები რძე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამ მხრივ სამარცხვინო მაჩვენებლები აქვთ ხიდისთავის, ფარცხმის, ერკეთის, შუა განახლების, ქვენობანის, დაბლაციხის, განახლების კოლმეურნეობებს.

რა არის ამის მიზეზი? ის, რომ საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად იყენებენ კოლმეურნეობების გამგეობების სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, სუსტია მათი ორგანიზატორული როლი, დაბალ დონეზე დგას მშრომელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

კონფერენციაზე შეეხნენ უპასუხისმგებლობას დაფნის პლანტაციების გაშენებაში, რასაც ადგილი აქვს შუა სურების, ზემო ხეთის, სერის, ნაბეღლავის, ერკეთის, ონჭეიქედის კოლმეურნეობებში. ამ სასოფლო-სამეურნეო არტელებში მთლიანად ჩაშალეს დაფნის გაშენების დავალება, მაშინ როცა მათთან ამ კულტურის მაღალი მოსავლის მიღების საუკეთესო პირობებია.

— ჩაი შრომატევადი კულტურაა, — ამბობს კონფერენციის დელეგატი, ქვემო ერკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. უჯმაჯურიძე. — ამიტომ კოლმეურნეთა შრომის შემსუბუქების მიზნით საჭიროა რაც შეიძლება მეტი შევიძინოთ გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ეს კიდევ უფრო ეფექტურს გახდის მეტი სამამულო ჩაისათვის ბრძოლას. უფრო დაძაბულად უნდა იმუშაონ ჩვენმა კონსტრუქტორებმა. არტელში ცოტა როდია ისეთი პლანტაციები, სადაც საუკეთესოდ განხორციელდება ბუჩქების დამუშავების სრული მექანიზაცია, რაც მუშახელის ეკონომიას მოგვცემს.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა მოწინავე მეჩაიემ, — ვანის კოლმეურნეობის წევრმა ქსენია ჩხაიძემ დელეგატებს მოახსენა, რომ მან წლიური გეგმის გადამეტებით 500 კილოგრამი ფოთოლი ჩააბარა სამშობლოს, სეზონის ბოლომდე კიდევ მოკრეფს სულ ცოტა 500 კილოგრამ ნედლეულს.

სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის მუშაობის ავ-კარგზე ილაპარაკა რაიონის პროკურორმა ე. საჯაიამ.

კონფერენციის დელეგატებმა რ. თევდორაძემ (კომკავშირის რაიკომის მდივანი), მ. ყაჭეიშვილმა (შუა განახლების საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი), ჭ. თავაძემ, (ზემო ხეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), გრ. მამალაძემ (მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), გ. დოლიძემ (ნაბეღლავის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე) და სხვებმა ილაპარაკეს პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის უფრო მაღალ დონეზე მოწყობის, საკოლმეურნეო წარმოების რეზერვების გამოყენების, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების უხვი მოსავლის მიღების საკითხებზე, კონკრეტულად მიუთითეს ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და შემდგომი წინსვლის გზებზე.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მოხსენებები სკკპ ახალი პროგრამისა და წესდების პროექტების შესახებ. კამათში გამოსულმა დელეგატებმა ფ. რონიშვილმა, მ. ცქიტიშვილმა, ზ. კალანდაძემ, კ. ცინცაძემ, ნ. ჰქუასელმა და სხვებმა წამოაყენეს მთელი რიგი საყურადღებო წინადადებები.

მიღებული დადგენილებებით დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტები.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. დ. ჯავახიშვილმა.** მან ილაპარაკა რაიონის წინაშე შვიდწლედით დასახული ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტულ გზებზე, იმ მდიდარ რეზერვებზე, რომელთა მაქსიმალური გამოყენება უზრუნველყოფს რაიონის სოფლის მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

კონფერენციამ აირჩია რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატები.

ახლადარჩეულმა რაიონული კომიტეტის პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **აკ. გობრონიძე,** მეორე მდივნად — **რ. კვინტრაძე,** მდივნად — **დ. ძნელაძე.**

**ბ. ჩხაიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

**ᲒᲐᲕᲔᲪᲐᲜᲘ** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს.

## ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

კომუნიზმის მშენებლობის ამ აღმაფრთოვანებელი დოკუმენტის თვითეული სტრიქონი აღსავსეა კომუნიზმის აშენების ღრმა რწმენით. ეს ახალი საგმირო საქმეებისაკენ მოგვიწოდებს.

პარტია ამოცანად სახავს ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოს ადამიანთა ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე ყველა კაპიტალისტურ ქვეყანასთან შედარებით. ოცი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ძირითადად დამთავრდება კომუნიზმის დიადი შენობის აგება. ეს ოცნება კი არ არის, ხვალინდელი ნათელი მომავალია.

ჩვენი საამქროს კოლექტივი მაღალნაყოფიერი შრომით ეგებება სკკპ XXII ყრილობას. კლინკერის გამოშვების რვა თვის გეგმა 101,6 პროცენტით შევასრულეთ. კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას საწარმოო დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, კლინკერის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, საქარხნო მარკის ღირსებისათვის.

ამ დღეებში კიდევ უფრო გავაძლიერეთ მუშაობის ტემპი და ყოველდღიურ დავალებას 130-140 პროცენტით ვანაღდებ.

**გ. ორბელაშვილი,**
კასპის სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის მბრუნავი ღუმელის მემანქანე.

# ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲡᲗᲐᲜ

*ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ*

**დ**ᲘᲛᲘᲢᲠᲘ ილურიძეს ჩვეულებად აქვს: სამუშაოზე წასვლისას წყაროზე გაივლის სოფლის ცენტრში, ნაბდის შავ ქუდს იღლიაში ამოიდებს, პირზე წყალს შეისხამს, მერე წინსაფრით შეიმშრალებს, დოქს აავსებს და მინდვრისაკენ გზას გაუყვება. თამაშევერცხლილს მკლავში ღონეს და მუხლში ძალას მატებს წყაროს ცივი წყალი, დოქით რომ მოიყუდებს ხოლმე.

— ლენინის წყაროს წყალი ცუდ კაცს არ დაელევნება! — მთელი გულით ამბობს ძია მიტო.

— სამთავისში ლენინის წყარო?!

— დიახ!

— იმ მძიმე დღეებში, — გვიყვება დიმიტრი ილურიძე, — როცა მთელი ქვეყანა ძაძებში იყო, სამთავისელებმა გადავწყვიტეთ დიდი ლენინის სახელის უკვდავსაყოფად სოფლის ცენტრში წყარო გამოგვეყვანა და ლენინის სახელი გვეწოდებინა. დიდი და პატარა ვმუშაობდით წყაროს გამოყვანაზე. მალე „დორიეთის წყარო" — როგორც მას ვეძახით, გამოვიყვანეთ. იმ დღიდან დაუშრეტლად ჩქეფს იგი...

აგვისტოს საღამოხანი იყო. ლეხურის ხეობიდან მონაბერი სიო სოფლამდე აღწევდა. საკოლმეურნეო მინდვრებიდან დაბრუნებულნი დიმიტრი ილურიძე და დავით თამაზაშვილი ლენინის წყაროსთან შეხვდნენ ერთმანეთს. სხვებიც იყვნენ იქ. შეკრებილ კოლმეურნეებს შუაში შუახნის ჯმუხი ვაჟკაცი ჩასდგომოდათ.

— ბაგრატ ხატისკაცია, — შორიდან გაგვაცნო პარტიის კასპის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ი. ქეიშვილმა, —საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

საუბარი, რომელიც ჯერ კიდევ კოლმეურნეებმა მინდვრად გაზეთების მიღებისას გამართეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების ირგვლივ, ახლა აქ განხილვად გადაიზარდა.

„კომუნიზმის დიადი შენობა საბჭოთა ხალხის — მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის ბეჯითი შრომით შენდება. რაც უფრო წარმატებით შრომობენ ისინი, მით უფრო ახლოვდება დიადი მიზნის განხორციელება — კომუნისტური საზოგადოების აშენება. პროგრამის პროექტიდან ეს ადგილი რომ შეახსენა შეკრებილებს პარტბიუროს მდივანმა, საუბარი კიდევ უფრო გამოცოცხლდა.

— შეიძლება, ბაგრატ? — იკითხა კომუნისტმა სანდრო გოგიჩაშვილმა.

მან მოიგონა, როგორ შეიქმნა სოფელში პირველი საზოგადოებრივი მეურნეობა —კომუნა, რომელიც შემდეგ გაიზარდა და დღეს მძლავრი სასოფლო-სამეურნეო არტელი გვაქვს. ბეჯითი შრომით შევძელით, რომ წინათ სუსტი კოლმეურნეობა ეკონომიურად გაგვეძლიერებინა, ხოლო ჩვენ შეძლებულად წელმაგრად ვიცხოვროთ.

— უშრომლად ერთ დღესაც ვერ გავძლებ. ეს მარტო სურვილი კი არა, უკვე ჩემი ყოველდღიური მოთხოვნილებაა! — ამბობდა კომუნისტი კოლმეურნე დავით თამაზაშვილი და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. სამოც წელს გადაცილებული კაცი საკუთრად ვუვლი ერთ ჰექტარ სიმინდს, საიდანაც 80 ცენტნერი მარცვალი უნდა მივიღო.

— ძია დათიკო, მაგდენს მიიღებ? — კითხვა მიაგებეს ახალგაზრდებმა.

— მივიღებო, თორემ არ გადავაჭარბებ?!

— ბეჯითი შრომა ყველა სიკეთის სათავეა, — კვერი დაუკრა დავითს კომუნისტმა კოლმეურნემ დიმიტრი ილურიძემ და იმედი გამოთქვა, რომ სამთავისელები ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად გაანაღდებენ, ასი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერ სიმინდის მარცვალს მოიყვანენ.

პარტბიუროს მდივნის მოადგილემ თამარ ნიაურმა სიტყვა კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მორალურ კოდექსზე ჩამოაგდო. „ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა",—სიყვარულით წარმოთქვა ეს სიტყვები და დაასახელა მაგალითი: ოლღა ქასოშვილს ყველა ვიცნობთ. ადრე დაქვრივდა, პატარები ჰყავს, მის სახლს რომ ცეცხლი გაუჩნდა დამწვარი სახურავის აღდგენაში მეზობლები და მეგობრები დაეხმარნენ, ხანძრით გამოწვეული ზარალი არ აგრძნობინეს ოჯახს.

...საუბარი დიდხანს გაგრძელდა. დაიშალნენ ერთი მიზნით — ხვალ უფრო ბეჯითად იშრომონ, ვიდრე დღეს, ხვალინდელზე უკეთესად ზეგ და ასე განაგრძონ გზა კაცობრიობის ბედნიერი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ.

**მ. ხეთაგური.**

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-2 გვერდი. ხუთშაბათი, 7 სექტემბერი, 1961 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაფრთხილება მილიტარისტებს

მონტევიდეო, 5 სექტემბერი. (საკდესი). მონტევიდეოს დეპარტამენტის კომპარტიის კონფერენციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მხურვალე სოლიდარობას უცხადებენ საბჭოთა კავშირის თანამიმდევრულ და მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას და მტკიცედ უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის უკანასკნელ ღონისძიებებს, რომელიც იძულებულია განახორციელოს იგი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და მისი აგრესიული იმპერიალისტური ბლოკის ნატოს მოკავშირეების მზარდი მილიტარისტული პოლიტიკისა და ახალი საერთაშორისო პროვოკაციების გამო.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება ატომური იარაღის გამოცდის განხორციელების შესახებ, რომელსაც თან ახლავს მიმართვა წინადადებით დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებისადმი მოწოდებით გონს მოვიდნენ და დაუყოვნებლივ და საბოლოოდ მოხდეს განიარაღება. განცხადებაში ნათქვამია, რომ სსრ კავშირი არავითარ შემთხვევაში არ მოახდენს თავდასხმას, ყოველივე ეს შესანიშნავი წვლილია საყოველთაო მშვიდობის საქმეში, რაც აჩერებს მილიტარისტულ ძალებს. ეს არის გაფრთხილება მილიტარისტებისადმი, რათა ისინი არ ეწეოდნენ საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს ხალხების მშვიდობისადმი სიყვარულის სპეკულაციას, ნათქვამია განცხადებაში.

# ასეთია ი. კოპლენიგის აზრი

ვენა, 5 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ფოლკსშტიმემ“ დღეს გამოაქვეყნა სიტყვის შინაარსი, რომელიც ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ი. კოპლენიგმა წარმოთქვა ზალცბურგში.

ი. კოპლენიგმა განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანელი მილიტარისტების ალაგმვა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია ყველა ხალხისათვის. იგი განსაკუთრებით შეესაბამება ავსტრიის ინტერესებს. ომის დამთავრების შემდეგ, განაგრძო კოპლენიგმა, თექვსმეტი წელი გავიდა. განა ეს საკმარისი ვადა არ არის, რომ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, მოწესრიგდეს დასავლეთ ბერლინის საკითხი და ბოლო მოეღოს დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის განვითარებას?

ი. კოპლენიგმა ილაპარაკა სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებაზე — მოაწყოს ატომური იარაღის ექსპერიმენტული აფეთქება და განაცხადა:

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით თქვა უარი ატომური იარაღის გამოცდაზე და შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალების რიცხვი, რათა ამით გაეადვილებინა მოლაპარაკება საყოველთაო განიარაღების შესახებ. მაგრამ რა პასუხი გასცეს ამაზე დასავლეთის სახელმწიფოებმა? მათ გააძლიერეს თავიანთი არმიები და თავით ფეხამდე შეაიარაღეს დასავლეთი გერმანია. საბჭოთა კავშირის მიერ ატომური იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის პასუხად მათ დაავალეს თავიანთ ნატოელ პარტნიორს — საფრანგეთს მოეწყო ატომური აფეთქებანი საჰარაში.

ახლა ეს თვალთმაქცები, რომლებმაც ყოველი ღონე იხმარეს, რათა ხელი შეეშალათ საყოველთაო განიარაღებისათვის, ხმამაღლა გაჰყვირიან, რადგან საბჭოთა კავშირმა სწორი პასუხი გასცა მათ. ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირს ყველა საშუალებანი მოეპოვება, რათა გონს მოიყვანოს ომის გამჩაღებლები, ახლანდელ ვითარებაში ბედნიერებაა ხალხებისათვის, მშვიდობის საქმისათვის. ჩვენ კომუნისტები, დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობის ძალები მთელ მსოფლიოში უფრო ძლიერი აღმოჩნდებიან, ვიდრე ომის ძალები, და რომ მშვიდობისა და სოციალიზმის საქმე მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს.

# ტელბოტი უკმაყოფილოა

ბეირუთი 4 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „აშ-შააბში“ გამოქვეყნებულია თეირანიდან მიღებული ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ტელბოტი ამას წინათ თეირანს ჩავიდა და შეხვდა ირანის პრემიერ-მინისტრ ამინის, ჟანდარმერიის შეფს გენერალ ნასირისა და „უშიშროების ორგანიზაციის“ უფროსს გენერალ ბაკრავანს.

„ამ შეხვედრის დროს, — იუწყება გაზეთი, — განიხილეს ირანის უშიშროების საკითხი.

თავის გამოსვლაში ტელბოტმა თქვა, რომ თეირანს ჩამოვიდა სპეციალური მისიით, რომელიც მას პრეზიდენტმა კენედიმ დაავალა. კენედი დიდ ინტერესს იჩენს ირანში შექმნილი მდგომარეობისადმი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოსკოვში გამოქვეყნდა სენტოს საიდუმლო დოკუმენტები.

ტელბოტი ჩამოვიდა იმ ამოცანით, რომ შეადგინოს ყოვლისმომცველი ოფიციალური მოხსენება, თუ რა გავლენა მოახდინა სენტოს გეგმების გამოაშკარავებამ ირანის მოსახლეობაზე. ამ მოხსენების შედგენაში მან გამოიყენა ცნობები, რომლებიც მიიღო ამერიკის ირანელ ელჩ ჰოლმსისაგან.

როგორც ცნობილი გახდა ჩვეულებრივად საქმეს კარგად გაცნობილი ირანული წყაროებიდან, ტელბოტი უკმაყოფილო იყო ირანის მთავრობის ღონისძიებათა გამო, რომელმაც პანიკა გაავრცელა მოსახლეობაში და გამოიწვია ჩრდილოეთ რაიონების მცხოვრებთა გაქცევა, აგრეთვე მღელვარება იმ რაიონებში, რომლებიც სენტოს გეგმების შესაბამისად უნდა შეიტანონ „ატომური სარტყელის ზონაში“.

ეს თათბირი დამთავრდა სხვადასხვა სიტუაციის შესწავლით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ხალხის მღელვარებათა შედეგად ირანში, რათა წინ აღუდგნენ მათ“.

# ასე ამხადებენ ჯაშუშებს

კიევი, 5 სექტემბერი. (საკდესი). როგორც უკვე პრესა იუწყებოდა მიმდინარე წლის ივლისში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა კიევში სამხედრო ობიექტის ფოტოგადაღების დროს დააკავეს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე მარვინ კლაამ მაკინენი, რომელიც დასავლეთ ბერლინიდან ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და ტურისტულ მოგზაურობას ახდენდა ავტომანქანით უჟგოროდ-ლვოვ-კიევის მარშრუტით.

ჯაშუშს, რომელსაც დანაშაულზე წაასწრეს, ჩამოართვეს ფოტოაპარატი, უბის წიგნაკი და რვეული, რომელშიც იყო სადაზვერვო ხასიათის ჩანაწერები, აგრეთვე ქვედა სარტყელი, რომელშიც იგი ინახავდა ტანსაცმლის ქვეშ მრავალ ფოტოფირს.

ჯაშუში მაკინენი, რომელმაც ჩაიდინა უკრაინის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 57 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, წარსდგა კიევის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოს წინაშე.

სასამართლო გამოძიების მსვლელობაში დადგენილ იქნა, რომ მაკინენი — ამერიკის შეერთებული შტატების მიჩიგანის შტატის მკვიდრი—დასავლეთ ბერლინში ჩამოვიდა, რათა განეგრძო სწავლა ეგრეთწოდებულ „თავისუფალ უნივერსიტეტში“. აქ იგი გადაიბირა ერთმა მრავალთაგანმა ჯაშუშურმა ორგანიზაციამ, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აფინანსებენ.

სასამართლოში მაკინენმა სავსებით ცნო თავი დამნაშავედ იმაში, რომ მიიღო სპეციალური დავალება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დაზვერვისაგან და ავტოტურისტის სახით მოგზაურობის დროს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აგროვებდა ცნობებს თავდაცვითი ობიექტების შესახებ. იგი იღებდა ამ ობიექტების სურათს და დაწვრილებით აღწერდა. ყველაფერი ეს მაკინენს უნდა გადაეცა დაზვერვის ცენტრისათვის დასავლეთ ბერლინში.

სამხედრო ოლქის ტრიბუნალმა დაცნო მარვინ ვიმ[illegible] მაკინენი ჯაშუშობაში და მას 8 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

# პრეზიდენტ დე გოლის პრეს-კონფერენცია

პარიზი, 5 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა დღეს ელისეს სასახლეში პრეს-კონფერენცია გამართა ფრანგი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. დე გოლის დღევანდელი გამოსვლის ძირითადი თემები იყო გერმანიის საკითხი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა, ალჟირის მდგომარეობა, ბიზერტის პრობლემა და საფრანგეთის საშინაო პრობლემები კერძოდ, მდგომარეობა საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში.

დე გოლის ნათქვამი, რაც ბერლინის მდგომარეობას შეეხებოდა, „ცივი ომის“ სულისკვეთების იყო. პრეზიდენტი ცდილობდა საბჭოთა კავშირისათვის დაებრალებინა ეგრეთწოდებული „ბერლინის კრიზისი“, რომელიც დასავლეთის პროპაგანდამ გაბერა. დე გოლი ცდილობდა ისე დაესახა საქმე, თითქოს საბჭოთა წინადადებანი გერმანიის საკითხზე საბჭოთა კავშირის რაღაც „პრეტენზიებით“ იყოს ნაკარნახევი.

საფრანგეთის პრეზიდენტმა დაამახინჯა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოზიცია გერმანიის საკითხში და ამტკიცებდა, სსრ კავშირი „აშინებს“ დასავლეთს იმ მიზნით, რომ რაღაც სარგებლობა მიიღოსო. მან მოუწოდა დასავლეთის სახელმწიფოებს — „სიმტკიცე გამოიჩინონ“ ბერლინის საკითხში. ამასთან განაცხადა, რომ თუ საჭირო გახდა მათ ძალა უნდა გამოიყენონ, რათა დაიცვან „თავიანთი პოზიციები და კომუნიკაციები“.

პრეზიდენტი შეეხო ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის პრობლემას და ამტკიცებდა, რომ საფრანგეთი დათანხმდება მიიღოს მონაწილეობა ყველა ღონისძიებაში, რომელიც ისახავს ამ მიზნის მიღწევას. დე გოლის ამ განცხადებას გაკვირვებით შეხვდნენ: ხომ სწორედ საფრანგეთი აწყობდა ატომურ აფეთქებას საჰარაში იმ პერიოდში, როცა ყველა სხვა ქვეყანამ გამოაცხადა, რომ შეაჩერა ატომური იარაღის გამოცდა, და ჟენევაში მოლაპარაკება მიმდინარეობდა ამ გამოცდის სრული შეწყვეტის შესახებ.

შემდეგ პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა საფრანგეთის მთავრობის პოზიცია ალჟირის საკითხში. საფრანგეთის მთავრობას, თქვა მან, კვლავ მიაჩნია, რომ მთავრობის პოლიტიკის ძირითადი მიზანი ამ საკითხში არის ალჟირის სახელმწიფოს შექმნა, ამ სახელმწიფოსთან საფრანგეთის ურთიერთობის ხასიათის განსაზღვრა და საჰარის მომავალი. დე გოლი ამტკიცებდა, რომ „ალჟირის სუვერენიტეტი არ არსებობს“ და რომ ალჟირის სახელმწიფო შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ „თვითგამორკვევის“ პირობებში. თვითგამორკვევად კი, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, პრეზიდენტს მიაჩნია რეფერენდუმის მოწყობა კოლონიური ომის ვითარებაში, რომელიც გრძელდება.

პრეზიდენტმა დე გოლმა ჩამოაყალიბა ალჟირის პრობლემის „მოწესრიგების“ გეგმა, რომლის განხორციელებასაც საფრანგეთის მთავრობა, როგორც მისი ნათქვამიდან ჩანს, ახლო მომავალში შეეცდება.

საფრანგეთის მთავრობას, თქვა დე გოლმა, სურს დაამყაროს ალჟირის ეგრეთწოდებული „ასოციაცია“ საფრანგეთთან. პრეზიდენტმა განაცხადა, საჰარის სუვერენიტეტი „პროპაგანდისტული ლოზუნგიაო“.

დე გოლი შეეხო ბიზერტის საკითხს და პირდაპირ განაცხადა, რომ საფრანგეთის ჯარები არ აპირებენ მოახდინონ თავიანთი სამხედრო ბაზის ევაკუაცია, მიუხედავად ტუნისელი ხალხისა და მთელი მსოფლიო საზოგადოების მოთხოვნებისა. იგი ამტკიცებდა, რომ ბაზა ბიზერტაში საფრანგეთს „ესაჭიროება“ იმ საფრთხის გამო, რომელიც თითქოს მოელით მას და ევროპას „აღმოსავლეთიდან“.

პრეზიდენტი დე გოლი შემდეგ გადავიდა საფრანგეთის საშინაო პრობლემებზე და აღიარა, რომ სერიოზული სიძნელეებია საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში. მაგრამ მან ხაზი გაუსვა, რომ მთავრობას განზრახული აქვს კვლავაც განაგრძოს სოფლის მეურნეობის ეგრეთწოდებული „მოდერნიზაციის“ პოლიტიკა, თუმცა, როგორც ცნობილია, მას უახლოეს წლებში დაახლოებით 800 ათასი წვრილი გლეხური მეურნეობის გაჩანაგება მოჰყვება.

დე გოლი დაუბრუნდა დასასრულ საერთაშორისო პრობლემებს და განაცხადა, რომ საფრანგეთი მზად არის მიიღოს მონაწილეობა ყველა სახელმწიფოს ღონისძიებებში, რომელთა მიზანია არ დაუშვან ატომური კატასტროფა.



არ ცხრება ანგოლა. იგი ნახევარ წელზე მეტია გმირულად იბრძვის თავის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. სისხლი სისხლის წილ! ასეთია დევიზი ანგოლელი პატრიოტებისა პორტუგალიელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს სურათი ინგლისის გაზეთ „ობსერვერში“ დაიბეჭდა. გაზეთი გამოთქვამს „აზრს, რომ ეს არმია გაიმარჯვებს! მის მხარეზეა სამართლიანობა და მას ზურგს უმაგრებს მთელი ანგოლელი ხალხი.

# ტელეგრაფი გვატყობინებს

### ექლიანი მავთული ბიზერტის ქუჩებში

ტუნისი, 5 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის ჯარისკაცებმა გუშინ საღამოს ეკლიანი მავთულით გადაღობეს ბიზერტის მუნიციპალიტეტის შენობისაკენ მიმავალი ოთხი ქუჩა ხუთიდან.

ტუნისის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის ჯარისკაცებმა დღეს სროლა აუტეხეს მუნიციპალიტეტის მუშებს, რომლებმაც უარი თქვეს მათი განკარგულების შესრულებაზე. მუშებმა სცადეს გაეწმინდათ ქუჩები გუშინ გაკეთებული მავთულღობურებისაგან. ერთი კაცი მოკლულია და რამდენიმე დაიჭრა.

### წყალდიდობის შედეგები ბირმაში

რანგუნი, 6 სექტემბერი. (საკდესი). წინასწარი მონაცემებით, წყალდიდობა, რაც გამოიწვია დიდმა ტროპიკულმა კოკისპირულმა წვიმებმა აგვისტოში, მოიცვა ბირმის 19 სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონის 210 სოფელი. 200 ათასზე მეტი კაცი უსახლკაროდ დარჩა, განადგურებულია 300 ათასი აკრი ბრინჯის ნათესი. ზარალის ასანაზღაურებლად საჭირო იქნება დაახლოებით სამი მილიონი კიატი.

ბირმის მთავრობამ შექმნა წყალდიდობისაგან დაზარალებული მოსახლეობისადმი დახმარების კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია ფინანსთა მინისტრი ტაკინ ტინი. მთავრობამ კომიტეტის ფონდში 300 ათასი კიატი შეიტანა.



ამერიკის ჯარები, რომლებიც დასავლეთ ბერლინში იმყოფებიან, წინასწარ შემუშავებული გეგმით მართავენ სამხედრო ძალის დემონსტრაციებს, აწყობენ ჟანდარმთა ნაწილებისა და ქვეგანაყოფების წვრთნას. ამ სურათზე, რომელიც ამოღებულია ინგლისურ გაზეთ „დეილი მეილიდან“, თქვენ ხედავთ, რომ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენი ცრემლსადენი გაზით ებრძვის „მეამბოხეებს“. „მეამბოხეთა“ როლში კი თვითონ ამერიკელი ჯარისკაცები გამოდიან.

# გუსტავ ნოსკედან ვილი ბრანდტამდე

საერთაშორისო თემაზე

ცოტა როდია გულუბრყვილო ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ თუ კაცობრიობას დიდი ომი დაატყდა თავს, რამდენიმე საათში თუ დღეში დამთავრდება ცხოვრება ჩვენს მოხუც პლანეტაზე და აღიგვება ყოველი სულიერი.

დასავლეთის სამყაროში ახლა ბევრი ლაღადებს მეორედ მოსვლაზე, წარღვნაზე, ახალ ნოეს კიდობანზე, მათ წინ იშლება აპოკალიპსის, „მსოფლიოს აღსასრულის“ საშინელი სურათები, დიდი ფანტაზიის მქონე მისტიკოსმა ახალ აღთქმაში რომ დახატა.

კაპიტალიზმის აპოლოგეტებს თავიანთი დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობის დასასრული ადამიანთა მოდგმის აღსასრულად ეჩვენებათ.

მომავალი ომი, თუ მშვიდობისმოყვარე ხალხებმა და მთავრობებმა მისი წარმოქმნა ვერ აღკვეთეს, რასაკვირველია დიდ უბედურებას უქადის ადამიანთა მოდგმას, მთელ თანამედროვე ცივილიზაციას და კულტურას. ომი შთანთქავს ასობით მილიონ ადამიანს და მოსპობს ბევრ რამეს იმისაგან, რაც ადამიანთა მრავალმა თაობამ საუკუნეთა მანძილზე შექმნა, მაგრამ ასევე უეჭველია, რომ ამ ომში დაიღუპება არა კაცობრიობა, არამედ კაპიტალიზმი.

ეს ომიც ისეთი იქნება, როგორც გარდასულ ჟამთა ომები, ხანგრძლივი, ულმობელი, სადაც გამარჯვების თუ დამარცხების საკითხს, გადაწყვეტს არა მარტო ტექნიკა, არამედ პირველ რიგში ადამიანები, მათი ნებისყოფა, გამძლეობა, მორალური ძალა, სამშობლოსათვის თავდადება.

მომავალი ომის პერსპექტივების განხილვის დროს იმპერიალიზმის იდეოლოგიური მეპაირადტრენი ამაზე ნაკლებად წერენ და მსჯელობენ, მაგრამ იმ ქვეყნების მმართველ წრეებს ეს გარემოება კარგად ესმით და მას ანგარიშსაც უწევენ.

ამიტომ ცდილობენ ისინი ხალხის ფართო მასების მიმხრობას, მიმართავენ დემაგოგიას, ცდილობენ ცნობილ და პოპულარულ ცნებებს „დემოკრატიას“, „თავისუფლებას“, „ერთა თვითგამორკვევის უფლებას“ სულ უფრო საწინააღმდეგო შინაარსი მიანიჭონ.

ყველა განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოში მშრომელები ერის დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ. ომის გამჩაღებლების უპირველესი ამოცანაა მიიმხრონ ერის უმრავლესობა.

გერმანია წარსული საუკუნის დასასრულიდან უაღრესად განვითარებულ სამრეწველო ქვეყნად იქცა. იქ ერის მთავარ მწარმოებელ ძალას მუშათა კლასი წარმოადგენს. გერმანიის გაბატონებულმა კლასებმა, მმართველმა წრეებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მიემხროთ ამ ქვეყნის მუშათა კლასი, მშრომელთა სხვა ფენები. ცნობილია ბისმარკის ცდები გადაებირებინა ლასალი, გერმანიის მუშათა კლასის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე. გერმანიის პოლიტიკოსებმა მომდევნო ხანაშიც ბევრ ოინსა და ხრიკს მიმართეს, რომ მოეთვინიერებინათ ოდესღაც ძლიერი გერმანიის სოციალ-დემოკრატია.

ერთ დროს გერმანიის სოციალ-დემოკრატია ინტერნაციონალიზმის დროშით გამოდიოდა. 1869 წელს, როდესაც ჩამოყალიბდა გერმანიის სოციალ-დემოკრატია, ეიზენახის კონგრესმა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღბეჭდილი პროგრამა მიიღო. 1871 წელს პრუსიამ რომ საფრანგეთს ომი გამოუცხადა, სოციალ-დემოკრატია წინაღუდგა ბისმარკის ზრახვებს. მთელ მსოფლიოში გაისმა ავგუსტ ბებელის ხმა, რომელიც საფრანგეთისა და პრუსიის მუშათა კლასის ძმობისაკენ მოუწოდებდა.

დრო გადიოდა და გარკვეული ისტორიული პირობების გამო, რომელთა განხილვას ახლა ვერ გამოვუდგებით, გერმანიის სოციალ-დემოკრატია, მისი ბელადები, ტოვებდნენ ინტერნაციონალიზმის პოზიციებს და აშკარა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გზას ადგებოდნენ. 1914-1918 წლის მსოფლიო ომის დროს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ვილჰელმს. გერმანიის რაიხსტაგში ერთადერთი ადამიანი, რომელიც წინააღუდგა შოვინიზმის მოზღვავებულ ტალღებს, კარლ ლიბკნეხტი იყო, მას მხარს უჭერდა სულ პატარა ჯგუფი — კლარა ცეტკინი, როზა ლუქსემბურგი, ფრანც მერინგი, მომავალი „სპარტაკელები“. მილიტარიზმის, მებრძოლი ნაციონალიზმის მღვრიე ტალღამ შთანთქა ინტერნაციონალიზმის დროშა. ამის გამო იყო, რომ ვილჰელმ მეორე გაიძახოდა, მე არ ვცნობ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, მე მხოლოდ გერმანელებს ვცნობო.

1918 წელს ჰოჰენცოლერნების დინასტია დაემხო. გერმანიის პრეზიდენტი გახდა სოციალ-დემოკრატი ებერტი, მთავრობაში შევიდა სოციალ-დემოკრატი გუსტავ ნოსკე, რომელმაც მუხანათურად მოაკვლევინა კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი. ამიტომ შეარქვეს გერმანელმა მუშებმა ნოსკეს „სისხლიანი ძაღლი“.

ვაიმარის რესპუბლიკაში გერმანიის სოციალ-დემოკრატია წამყვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, ერთ დროს ის მართავდა სახელმწიფოს. შინაგან საქმეთა მინისტრად სოციალ-დემოკრატი ზევერინგი იყო. სწორედ სოციალ-დემოკრატებმა გაუკაფეს გზა ფაშიზმს, ჰიტლერს. 1933 წელს, როდესაც ჰიტლერმა რაიხსტაგში მსოფლიოს ამცნო თავისი გიჟური დაპყრობითი საგარეო პოლიტიკა, მან იქვე შეეკითხა სოციალ-დემოკრატებს, თქვენ როგორი პოზიცია გიჭირავთო. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის სახელით ველსმა განაცხადა, გერმანიის სოციალ-დემოკრატია ჰიტლერის საგარეო პოლიტიკის კურსს ემხრობაო. მაშინ პატრონმა ლაქიას პანჩური ამოჰკრა. ჰიტლერმა შესძახა მათ, გვიანღაა, ბატონებოო.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადები ერთ ხანს ცდილობდნენ პოლიტიკური ზიგზაგების გზით ევლოთ, ბოლოს კი მილიტარიზმის, რევანშიზმის პოლიტიკას დაადგნენ და ახლა, ამ მეტად რთულ და მძიმე დღეებში, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობა პირველ რიგში ბრანდტ-ვენერ-ერლერ-დაისტის ჯგუფი — მთლიანად მხარს უჭერს ოთხმოცდაექვსი წლის კანცლერ ადენაუერს, რომელსაც, როგორც ეტყობა, სიცოცხლე მობეზრდა და ამბიციით სავსე ლუი XV-ის სიტყვებს იმეორებს, „ჩემს შემდეგ წარღვნა მოხდესო“, და კაცობრიობას ახალ საშინელი კატასტროფისაკენ უბიძგებს.

ვილი ბრანდტის დასავლეთ ბერლინის მმართველი ბურგომისტრის, ლოზუნგია: „ჩვენ ყველანი, გერმანელები, ერთ ოჯახს წარმოვადგენთ“. ვილი ბრანდტის ჯგუფი, რომელმაც ყოველი ზომა იხმარა, რომ 1960 წელს ნოემბერში სოციალ-დემოკრატიის ყრილობაზე ჰანოვერში მარქსიზმი „მოძველებულ მოძღვრებად“ გამოეცხადებინა და იქ მიღებულ ახალ პროგრამაში საბოლოოდ უარეყო მარქსისტული მოძღვრება, ახლა რევანშისტ შტრაუსს უმაგრებს მხარს.

მარქსიზმის ღალატი ძვირად უჯდება დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიას. მან დაკარგა უნარი გაერკვეს საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებში და ამიტომ არის, რომ მხარს უჭერს ადენაუერ-შტრაუსის ავანტიურისტულ პოლიტიკას, რომელიც გერმანიას სრული განადგურებით ემუქრება.

თუ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმს დაუყოვნებლივ არ შეაჭრეს ფრთები, თუ არ დაიდო საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, თუ არ მოგვარდა დასავლეთ ბერლინის საკითხი, თუ რევანშისტები გონს არ მოიყვანეს, ისინი შეეცდებიან დაიპყრონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, მოსპონ სახალხო პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოებრივი მთლიანობა, დაამყარონ ევროპაში „ახალი წესრიგი“. ეს დასავლეთ გერმანიის მონოპოლიების პროგრამის მხოლოდ პირველი ნაწილია, მისი მინიმუმია, ხოლო მაქსიმუმი ცნობილია: აღმოსავლეთით — გერმანია ურალამდე, დასავლეთით კი სრული ბატონობა ევროპის კონტინენტზე. ამ გიჟურ ზრახვებს მხარს უჭერს დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატია. ვილი ბრანდტი გაჰკივის, „ჩვენ უნდა ვიცხოვროთ შიშის წონასწორობის პირობებში, რომელიც არც ომია და არც მშვიდობა“. ნორმალური გონების მიღმა მყოფი ეს პარადოქსალური ლოზუნგი ვილი ბრანდტს იმისათვის სჭირდება, რომ ფსიქოლოგიურად მოამზადოს დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასი გერმანელი მონოპოლისტების ატომური ომისათვის.

დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასის წინაშე ახლა უდიდესი ისტორიული, დიდი ეროვნული მნიშვნელობის ამოცანა დგას. მან უნდა გარიყოს ამერიკელი და გერმანელი მონოპოლიების ვილი ბრანდტის ტიპის მსახურები, ისე, როგორც ეს გააკეთა აღმოსავლეთ გერმანიის მუშათა კლასმა, და გადაარჩინოს თავისი სამშობლო ფიზიკურ განადგურებას.

ვლ. მამაცარიანი.

# ჯორჯე ენესკუს სახელობისა...

ბუქარესტი, 5 სექტემბერი. (საკდესი). დღეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სასახლის დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა ჯორჯე ენესკუს სახელობის II საერთაშორისო კონკურსი და ფესტივალი.

კონკურსში პირველობისათვის იბრძოლებს 18 ქვეყნის 100-ზე მეტი მონაწილე. კონკურსი დაიწყება 16 სექტემბერს და ჩატარდება ერთსა და იმავე დროს ფორტეპიანოს, ვიოლინოსა და სიმღერის კლასებში.

ფესტივალის ვრცელ პროგრამაში შეტანილია სიმფონიური კონცერტები, კამერული და საოპერო მუსიკის კონცერტები, აგრეთვე სოლო კონცერტები.

რუმინელი საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლების — კომპოზიტორ დ. კაბალევსკის, პიანისტ ს. რიხტერის, მევიოლინე დ. კოგანის, დირიჟორ გ. როჟდესტვენსკის, ოპერის მომღერლის ი. პეტროვის ჩამოსვლა ბუქარესტში.

ფესტივალისა და კონკურსის დღევანდელი საზეიმო გახსნა დამთავრდა ჯორჯე ენესკუს სახელობის ფილარმონიის კონცერტით. ჯ. ენესკუს სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსი და ფესტივალი 22 სექტემბრამდე გასტანს.

# დღეს ბრაზილიაში

ნიუ-იორკი, 5 სექტემბერი. (საკდესი). უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების კორესპონდენტთა ცნობები ბრაზილიიდან ამტკიცებენ, რომ ამ ქვეყანაში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია, ვიცე-პრეზიდენტმა გულარტმა, რომელსაც განზრახული ჰქონდა გაფრენილიყო 5 სექტემბერს პორტო-ალეგრედან ქალაქ ბრაზილიაში, რათა დაეკავებინა პრეზიდენტის პოსტი, კვლავ გადადო თავისი გამგზავრება. როგორც სააგენტოთა ცნობებიდან ჩანს, ეს ახალი ვადის გადადება გამოიწვია შინაური რეაქციის განუწყვეტელმა მანევრებმა, რომელიც ყოველი ღონისძიებით ცდილობს ხელი შეუშალოს კუადროსის მემკვიდრეს — გულარტს, რათა დაიკავოს პრეზიდენტის თანამდებობა.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, 4 სექტემბერს ღამით ქალაქ ბრაზილიაში გაიმართა კონგრესის საგანგებო სხდომა, რომელზეც სენატის თავმჯდომარემ აურო დე მოურა ანდრადემ განაცხადა, რომ სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრებმა მოაწყეს შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა ხელი შეეშალა ვიცე-პრეზიდენტ გულარტისათვის—დედაქალაქში ჩამოსულიყო. სააგენტოს სიტყვით, ანდრადემ დაიმოწმა ავიაციის მინისტრის განცხადება, რომ მას „არ შეუძლია უზრუნველყოს გულარტის უსაფრთხო ჩამოსვლა“. ანდრადემ განაცხადა, რომ ბრაზილიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი მაძილი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ტელეფონით გულარტს და ურჩია მას არ ჩამოვიდეს დედაქალაქში სამშაბათს. როგორც ცნობილია, ამ დღეებში ბრაზილიის კონგრესმა მოიწონა კონსტიტუციის შესწორებანი, რომლებიც აწესებენ პრემიერ-მინისტრის პოსტს და არსებითად ზღუდავენ პრეზიდენტის რწმუნებებს. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ ამ შესწორებათა ტექსტის შესაბამისად, რაც 4 სექტემბერს გამოქვეყნდა, ჟოაო გულარტი ინიშნება პრეზიდენტად 1966 წლის 31 იანვრამდე. პრეზიდენტი განახორციელებს თავის რწმუნებებს მინისტრთა საბჭოს დახმარებით, რომელსაც იგი დანიშნავს კონგრესის მოწონებით. პრემიერ-მინისტრი, რომელიც ამ საბჭოს უხელმძღვანელებს, პასუხს აგებს საგარეო პოლიტიკისათვის. ყველა მინისტრი პასუხისმგებელი იქნება კონგრესის წინაშე მთავრობის პოლიტიკისათვის და შეიძლება შეცვლილ იქნენ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად უნდობლობის ვოტუმის შედეგად. შესწორებათა ტექსტში ნათქვამია, რომ, თუ კონგრესი გადაწყვეტს, რომ საჭიროა ახალი სისტემის შეცვლა, მას შეუძლია დანიშნოს პლებისციტი პრეზიდენტის რწმუნებათა გასვლამდე 9 თვით ადრე, რათა გამოარკვიოს მოსახლეობის აზრი.

მონტევიდეო, 5 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ბრაზილიის რადიო „კანონიერების ხმა“ იუწყება, ვიცე-პრეზიდენტმა გულარტმა პრეს-კონფერენციაზე მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ კონგრესმა მიიღო კონსტიტუციის შესწორება, რომელიც აწესებს სრულუფლებიანი პრემიერ-მინისტრის პოსტს, თქვა: „ეს-ეს არის შევიტყე, რომ მიღებულია კონსტიტუციის შესწორება. ჩემი გადაწყვეტილება მიღებულია. მე დავიკავებ პრეზიდენტის პოსტს“.

გულარტმა მადლობა გადაუხადა ბრაზილიის ხალხს, უწინარეს ყოვლისა რიო-გრანდე-დო-სულის შტატის მცხოვრებთ, შტატის გუბერნატორს ბრიზოლას და მესამე არმიის სარდალს მაშადოს „კანონიერებისა და თავისუფლების მხარდაჭერისა და დაცვისათვის“. უფრო გვიან, გულარტმა მიმართა ხალხს: „მე კანონისა და ჩემი ხალხის ნების მონა ვარ“.

შეეხო რა ამ გადაწყვეტილებას, რიო-გრანდე-დო-სულის შტატის გუბერნატორმა ბრიზოლამ რადიოთი გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა: „ბევრ კითხვას იძლევიან გულარტის პოზიციის შესახებ. მას სურს ბრაზილიელის ოჯახის მშვიდობა და სიმშვიდე. იგი ესწრაფვის, რომ ბრაზილიის ხალხმა მოიპოვოს მშვიდობა. მას კიდევ უფრო მეტად სურს, რომ დამყარდეს წესრიგი მთელ ბრაზილიაში. იგი მზადაა გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი, ოღონდ ბრაზილია არ შეიღებოს სისხლით, ოღონდ თავიდან აიცილოს სამოქალაქო ომი.“

### ჟოაო გულარტი ქალაქ ბრაზილიაში ჩავიდა

მონტევიდეო, 6 სექტემბერი. (საკდესი). ბრაზილიიდან მიღებული ცნობებით, ბრაზილიის ვიცე-პრეზიდენტი ჟოაო გულარტი პორტო-ალეგრედან ჩავიდა რესპუბლიკის დედაქალაქ ბრაზილიაში. აეროდრომზე მას შეხვდნენ პრეზიდენტის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი მაძილი, კონგრესის თავმჯდომარე ანდრადე, პარლამენტის დეპუტატები. პრეზიდენტის პატივსაცემად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

გულარტი გაჩერდა თავის კერძო რეზიდენციაში ქალაქგარეთ და მოიწვია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელები, რათა განიხილოს მთავრობის ახალი კაბინეტის შედგენის საკითხი. გულარტმა განაცხადა, რომ იგი აპირებს შექმნას „ეროვნული კოალიციის მთავრობა“.

გულარტისათვის პრეზიდენტის პოსტის გადაცემის ცერემონია მოეწყობა 7 სექტემბერს — ბრაზილიის ეროვნული დღესასწაულის დღეს.

რაც შეეხება სამ სამხედრო მინისტრს, რომლებიც მონაწილეობდნენ შეთქმულებაში კუადროსისა და გულარტის წინააღმდეგ, ბრაზილიის რადიო გადასცემს ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ქალაქ ბრაზილიაში გულარტის ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე ისინი გაფრინდნენ რიო-დე-ჟანეიროში.

# ბელგრადის კონფერენციაზე

ბელგრადი, 5 სექტემბერი. (საკდესი). ბლოკებს მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციის დღევანდელ დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა კამბოჯის დელეგაციის მეთაური პრინცი სიანუკი. მან განაცხადა, რომ კამბოჯის მთავრობამ გადაწყვიტა დე-იურე ცნოს ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა.

განცხადება ალჟირის დროებითი მთავრობის ცნობის შესახებ გააკეთეს იუგოსლავიის პრეზიდენტმა ტიტომ და მალის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კეიტამ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ადულამ.

კონგოს მთავრობის მეთაურმა აღნიშნა განიარაღების პრობლემის დიდი მნიშვნელობა და მოუწოდა კონფერენციის მონაწილეთ გავლენა მოახდინონ დიდ სახელმწიფოებზე, რათა მათ იკისრონ ვალდებულება დაუყოვნებლივ შეუდგნენ განიარაღებას. ადულა შეჩერდა ანგოლის მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ დღემდე ამ ტერიტორიიდან კონგოში გადავიდა დაახლოებით 131 ათასი ლტოლვილი.

შემდეგ გამოვიდა კონგოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე ანტუან გიზენგა, რომელმაც აღნიშნა კონგო მტკიცე მშვიდობის მომხრეაო. კონგოს მთავრობა, თქვა მან, ნეიტრალურ პოლიტიკას განახორციელებს, როგორც ამას შერებიან სხვა სახელმწიფოებიც, რომლებიც ხელს უწყობენ მშვიდობის განმტკიცებას.

მე მინდა ვილაპარაკო, განაცხადა გიზენგამ, განსვენებული პატრის ლუმუმბას შესახებ. ჩემთვის სახელია ის, რომ მე ვიყავი და ვრჩები მისი იდეალების არა მარტო მიმდევარი, არამედ აგრეთვე ერთ-ერთი ყველაზე ერთგული გუშაგი.

გიზენგამ აღნიშნა, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბელგიელებსა და მათ მოკავშირეებს კონგოში ვითარების გამწვავებისათვის და თქვა, დადგება დღე როცა ისტორია თავის სიტყვას იტყვისო. დასასრულ მან მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალ და ამ ორგანიზაციის გარეთ მყოფ ყველა ქვეყანას — გაუწიონ კონგოს დახმარება თავისი ქ[illegible] თიშვის დაძლევის საქმეში.

შემდეგ სიტყვა აიღო განის პრეზიდენტმა ნკრუმამ, რომელმაც განაცხადა, ჩემი ქვეყანა დე-ფაქტო და დე-იურე ცნობს ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობასო.

სხდომის დასასრულს, ინდონეზიის პრეზიდენტ სუკარნოს წინადადებით ბელგრადის კონფერენციის მონაწილეებმა ერთი წუთით დუმილით სცეს პატივი პატრის ლუმუმბას ხსოვნას.

სადილის შემდეგ გაიმართა დელეგაციათა მეთაურების დახურული სხდომა.

საერთაშორისო ცხოვრება

# ნეიტრალური ქვეყნები გმობენ კოლონიალიზმს, რევანშს...

# გამარჯობა, თბილისო!

თბილისის ჭადრაკის მოყვარული საზოგადოება შეუნელებელი ინტერესით მოელის მსოფლიოს საჭადრაკო გვირგვინის მფლობელის მიხეილ ბოტვინიკისა და გროსმაისტერ სალო ფლორის ლექციებსა და ერთდროული თამაშის სეანსებს.

და აი ჩვენი სასურველი სტუმრები უკვე თბილისში არიან.

გუშინ აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მსოფლიოს ჩემპიონის შესახვედრად ჭადრაკის მრავალმა მოყვარულმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ ფიზკულტურის ხელმძღვანელი მუშაკები, ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი მოჭადრაკეები, პრესისა და რადიოს წარმომადგენლები.



მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი.

С границы Грузии шлём самые добрые пожелания читателям „Комунисти".

С. Флор (С. Флор)

М. Ботвинник (М. Ботвинник)

6.9.61

საქართველოს საზღვრიდან „კომუნისტის" მკითხველებს ვუგზავნით ყველაზე კეთილ სურვილებს.

ს. ფლორი,
მ. ბოტვინიკი.

6.9.61

• • •

მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი ჩვენს საზღვრამდის ერევნელმა მეგობრებმა მოაცილეს. მოეწყო გულთბილი შეხვედრა, საუბრები.

სასტუმრო ინტურისტში, სადაც დაბინავდა მ. ბოტვინიკი, მსოფლიოს ჩემპიონმა ილაპარაკა იმ შესანიშნავ მიღებებზე, გულთბილობაზე, რომლებსაც იგი ხვდება ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში.

მ. ბოტვინიკს სურს მცირე დროში, რომელიც მას დაგეგმილი აქვს თბილისში გამოსვლისათვის, გაეცნოს ამ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია მზადებაც ქართველ მოჭადრაკეებთან შეხვედრისათვის, რადგან იგი „განაწყენებულია" ერევნელი მოჭადრაკეებისაგან, რომლებმაც 8 პარტიიდან 2 მოიგეს და 3 ყაიმით დაამთავრეს.

მსოფლიოს ჩემპიონი ხუმრობით ამბობს, რომ მიუხედავად სალო ფლორის „დაჟინებისა", რომელსაც სურდა ქართველ მოჭადრაკეებს გამოვხმაურებოდით სხვა გაზეთის მეშვეობით, მე მაინც დავიყოლიე იგი და ორივენი ჩვენს ქართველ მეგობრებს მივესალმებით გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებიდან.

მ. ბოტვინიკისა და ს. ფლორის ლექციები — „ჭადრაკი 1961 წელს" შედგება რუსთაველის სახელმწიფო თეატრის საკონცერტო დარბაზში 7 სექტემბერს.

# ვისია „მოსკვიჩი?"

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახ. კრედიტის სამმართველოში მრავალი შეკითხვა შემოდის. გვთხოვენ ვაცნობოთ, ვინ მიიღო დიდი ნივთმოგება საქართველოს სსრ 1961 წლის მეორე გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის მოგებათა ტირაჟით.

ამასთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ იმ „იღბლიან" მოქალაქეთა ვინაობას, ვინც დიდი მოგება მიიღო.

ამ დღეებში ახალქალაქის რაიონის სოფელ კარწახში მეხორცეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიკოსს გრიგოლ კეიანს გაეგზავნა 5.000 მანეთის ფულბარათი, ლატარიით მოგებული საცხოვრებელი სახლის ღირებულება.

ასეთივე ფულბარათი ამას წინათ გაეგზავნა დემობილიზებულ ჯარისკაცს ვიაჩესლავ კნიაზევს.

მესამე სახლი მოიგო პენსიონერმა ალექსი პეტრეს-ძე ალღუზაშვილმა, რომელსაც სამი თვის ვადაში აუშენებენ სახლს ქალაქ გორის „წმინდა წყლის" რაიონში.

„ვოლგის" მარკის ავტომანქანები მიიღეს თიანეთელმა კარლო ნაკვეთაურმა, თელაველმა ივანე ჭიკაძემ, მცხეთის რაიონის სოფელ არაშენდის მცხოვრებმა და თბილისელმა თენგიზ ჯაფარიძემ.

„მოსკვიჩის" მარკის ავტომანქანები მიიღეს ხუთმა თბილისელმა, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის მცხოვრებმა ფირუზ მარტყოფლიშვილმა და სხვ.

საინტერესოა, რომ დღემდე არ წარმოუდგენიათ ლატარიის ბილეთი, რომელმაც მოიგო ავტომანქანა „მოსკვიჩი", და რამდენიმე ბილეთი, რომლებმაც მოიგო საწოლი ოთახის გარნიტურები და პიანინოები.

მოგებათა გაცემა ყველგან გრძელდება.

ა. შტეინბერგი.



საქართველოს სამხედრო გზაზე, დარიალის ხეობაში.
ფოტო გ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ტურისტის ნაამბობი

# პრაღაში — ბიძის საფლავთან

ეს იყო 1942 წლის ზამთარში. ოთარ ნამგალაური საყვარელ ბიძას აცილებდა სამამულო ომის ფრონტზე. ჯარისკაცებით დატვირთული ეშელონი მზად იყო წასასვლელად. სანამ დაიძვრებოდა, აბესალომი სწრაფად გადაეხვია ძმისწულს — ყოჩაღად იყავიო, — უთხრა და წამსვე დაძრული ვაგონის კიბეს შეახტა...

იმ დღიდან ბიძა აღარ უნახავს ოთარს.

გავიდა დღეები, წლები.

საბჭოთა არმია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში გამოიწრთო, დევგმირული მხრები გაშალა და მტრის არმიებს ზედიზედ გამანადგურებელი დარტყმები აგემა. ახლოვდებოდა ფაშიზმის აღსასრული. ზამთარი იყო, მაგრამ სოფელ კობიაანთკარში, რომელიც დუშეთის მახლობლად მდებარეობს, ნამგალაურების სახლში ხშირად მოფრინავდა მერცხლები — სამკუთხა ფრონტული წერილები. როგორ მინდა თქვენი ნახვაო, წერდა აბესალომი სანატრელ ძმისწულებს ოთარს, ავთანდილს, გულნარას და ვენერას; იმედი მაქვს ომი მალე დამთავრდება და ყველას გულში ჩაგიკრავთო.

დადგა ნანატრი 1945 წლის 9 მაისი. მსოფლიო ჰიტლერული ურჩხულის განადგურებას ზეიმობდა. მილიონობით ადამიანი ელოდა ფრონტებიდან ჯარისკაცების დაბრუნებას. ნამგალაურებიც ელოდნენ ნაომარ ვაჟკაცს, მაგრამ მოხდა მოულოდნელი: სწორედ გამარჯვების დღიდან შეწყდა აბესალომის წერილები. გავიდა ხანი. მისი ხმა კი კვლავ არ ისმოდა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცოდა. ვის არ მიმართეს თხოვნით ნამგალაურებმა, მაგრამ აბესალომის კვალს ვერ მიაგნეს.

ამასობაში ოთარმა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, ახლა ის დუშეთის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის გამგეა. ნამგალაურების ოჯახში სამი ექიმია. მკურნალის საყვარელ საქმეში გაჰალარავდა ოთარის მამა — დავითი, მამის პროფესია აირჩია ქალიშვილმა გულნარამაც. ოჯახის ბედნიერებას ომიდან არდაბრუნებულის დარდილა ჩრდილავდა, თვალი გზისკენ ჰქონდათ — იქნება ჩვენი აბესალომი გამოჩნდესო. პირმშოს მოლოდინში გარდაიცვალა დედა.

1957 წელს რომელიღაც გაზეთში ოთარმა ერთი საბჭოთა ტურისტის ჩანაწერები წაიკითხა. — პრაღაში, ოლშანის სასაფლაოზე ქართველი ოფიცრის აბესალომ ნამგალაურის საფლავი ვნახეო, — წერდა უცნობი ავტორი. მერე ქართველი პოეტის ხუტა ბერულავას სტრიქონებმა მოაღწია დუშეთში: პრაღაში ოლშანის სასაფლაოზე არიან დამარხული 1945 წელს დაღუპული მეომრები — აბესალომ ნამგალაური, ვანო კორინთელი და პეტრე დოლიძე. ეს უკანასკნელი დასახელებულია იქ დამარხული საბჭოთა მეომრების სიაში, მაგრამ მისი საფლავი ვერ ვიპოვნეთო, წერდა პოეტი.

ოთარს სურდა საკუთარი თვალით ენახა ბიძის საფლავი. ამასწინათ იგი სხვა ქართველ ტურისტებთან ერთად პრაღაში გაემგზავრა. ნახა ოლშანის სასაფლაო, ნახა საფლავი საყვარელი ბიძის, გვარდიის ლეიტენანტ აბესალომ ნამგალაურისა, რომელიც გმირულად დაიღუპა 1945 წლის 9 მაისს მოძმე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

გულითადი მზრუნველობით მოვლილ ქართველი გმირების საფლავს ოთარმა საქართველოდან წაღებული მიწა დააყარა...

ო, საქართველოვ,
სიცოცხლევ,
დედავ,
შენი შვილები
აქაც მარხიან,
და ყოველ
მათგანს, თუ იცი
ნეტავ,
რომ გულზე
პრაღის მიწა
აყრია.

ქართველი ტურისტები დიდი ინტერესით გაეცნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის აყვავებულ ქალაქებსა და სოფლებს. მათ ემაყებოდათ სოციალიზმისა და მშვიდობის განმტკიცების დიდებულ საქმეში ქართველი ჯარისკაცების წვლილიც, რომელთა საფლავები ახლაც მშვიდობისაკენ უხმობენ ხალხებს.

ა. თომაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

• • •



სურათზე: ოთარ ნამგალაური ბიძის — აბესალომ ნამგალაურის საფლავთან. (ობელისკს შეცდომით აწერია „ნამჩალაური" და „აბსალომი").

# აქ პირველად აწკრიალდა ზარი

მახარაძე. (საკ. კორ.). ახალი სასწავლო წლისათვის ქალაქის მოსწავლეებმა საუკეთესო საჩუქარი მიიღეს. საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სამსართულიანი შენობა, სადაც მეცადინეობა დაიწყო რუსულმა საშუალო სკოლამ. სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტები, სახელოსნოები.

წულუკიძე. სკოლის ახალი სამსართულიანი შენობა მიიღეს ახალი სასწავლო წლისათვის წულუკიძის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

ახალ შენობაში მუშაობა შეუდგა აგრეთვე დაუსწრებელი საშუალო სკოლა (მეხუთე-მეათე კლასები). სადაც საკოლმეურნეო მინდვრებისა და მეცხოველეობის ფერმებისაგან მოუწყვეტლივ ისწავლის 120 ახალგაზრდა.

# ცხოვრების დიდ გზაზე

ყვარელი. (საკ. კორ.). ქარხნებში, ფაბრიკებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში — სად არ ნახავთ ენისელის № 2 სახელოსნო სასწავლებელში აღზრდილ სპეციალისტებს. მათს თავდადებულ შრომაზე მეტყველებს მადლობის წერილები, რომლებიც ხშირად მოდის სასწავლებლის დირექტორის სახელზე.

ახლახან სასწავლებელმა კიდევ 50 სპეციალისტი გამოუშვა. მათ შორის 25 სამრეწველო მოწყობილობათა შემკეთებელი-ზეინკალია, ხოლო 25 — ხარატი. ო. წულუკიძეს, გ. იმერლიშვილს, ო. გაფრინდაშვილს, ს. მაილოვს და სხვებს, რომლებმაც წარჩინებით დაამთავრეს სასწავლებელი და სპეციალობის მესამე თანრიგი მიეკუთვნათ.

ახალგაზრდა სპეციალისტები სამუშაოდ გაიგზავნენ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიულ და სხვა ქარხნებში.

# ჟილბერ ჟენზაკი: „ჩვენ 150 წელიწადს ვიცოცხლებთ"

## წიგნი საქართველოს დღეგრძელ ადამიანებზე

„ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ საბოლოოდ დადგება ისეთი დრო, როდესაც... სირცხვილი იქნება ას წელზე ადრე სიკვდილი". დიდი ქართველი ფიზიოლოგის ი. თარხნიშვილის ეს სიტყვები ორი წლის წინათ ბლოკნოტში ჩაიწერა ფრანგმა მწერალმა და პროგრესულმა მოღვაწემ ჟილბერ ჟენზაკმა. 1959 წლის ზამთარში ჟილბერ ბლოკის ლიტერატურული ფსევდონიმით იგი ესტუმრა ქართულ მიწას. მან იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში, კახეთში, იყო რუსთავში. თბილისში გაეცნო ნ. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მოღვაწეობას, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ესაუბრა საუკუნეგადაბიჯებულ მოხუცებს. საქართველოში ამჟამად ხომ 62.000 მეტი ქალი და კაცია, რომელთა ხანდაზმულობა ოთხმოც წელიწადს სჭარბობს. რესპუბლიკაში 2.080 ასწლოვანია, ყველაზე მეტი ღრმა მოხუცი აფხაზეთზე მოდის. აფხაზეთში სიმღერისა და ცეკვის ანსამბლიც კი არსებობს, რომლის შემადგენლობაში ძირითადად მოხუცები არიან.

— ვინ არის დედამიწაზე ყველაზე უფრო ხნიერი მცხოვრები? — შეეკითხა მწერალი შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ გრიგოლ ფიცხელაურს.

— იაგორ ყოროევი, — უპასუხა პროფესორმა. იგი იყო გენერალ ერმოლოვის მზარეული. სამხრეთ ოსეთის მკვიდრი ახლდა მას საფრანგეთსა და იტალიაში. იაგორ ყოროევი გარდაიცვალა 156 წლის ასაკისა და ღრმა სიბერეში საოცარი სიზუსტით ახსოვდა შორეული წარსულის ამბები.

ჟილბერ ჟენზაკი აჭარაში ესაუბრა 105 წლის მელენტი ჩხარტიშვილს, რომელიც 1953 წლამდე კოლმეურნეობაში მუშაობდა. მას უყვარს წიგნის კითხვა და გულგაშლილი მასპინძლობა. ჩანს, მელენტიმ ქართული პურადობით მოხიბლა ფრანგი სტუმარი, იგი წერს: „სადილი კი არა, ნამდვილი ქეიფი იყო. მაგიდა გაივსო ხორაგით. ხაჭაპურის, სულგუნის, ღომის ბორცვები აღიმართა. იყო ლობიოს, მხალის, საცივის, შემწვარი ვარიების სიუხვე... ბედნიერება მქონდა ქართული მელოდიური სიმღერები მომესმინა".

ოჩამჩირის რაიონში მან გაიცნო 125 წლის მუსტაფა ჩარჩალია, 114 წლის კუტა ზანთარია, 93 წლის დათა ანუა და 92 წლის სამუელ ზანთარია.

„კუტა ზანთარიამ მიმიწვია სახლში და გამაცნო ოჯახის შემადგენლობა, მათ შორის 15 წლის უმცროსი ვაჟიშვილი".

ფრანგმა მწერალმა ქიზიყის სოფელ ვაქირს ასწლოვანთა ნამდვილი ბუდე უწოდა. ჩანს ღრმა მოხუცთა ნაამბობიც შეეშველა ისტორიულ ასპექტშიც დაეხასიათებინა ალაზნის მარჯვენა მხარეს გაშლილი სოფელი. „კახეთის ეს კუთხე, რომელიც აყვავებული იყო XII საუკუნეში, დაიპყრეს ჯერ მონღოლებმა, შემდეგ შვიდჯერ დაარბია თემურლენგმა. მაგრამ ქართველი ხალხი მაინც ვერ დააჩოქეს. კახეთში ახლაც შეხვდებით სახლებს, რომლებიც ისეა აშენებული, რომ პატარა ციხე-სიმაგრეებს მოგვაგონებს".

„გიორგი ქემაშვილს, — განაგრძობს ფრანგი ავტორი, — ვაქირში ყველა იცნობს. მე იგი მეგობართა წრეში ვინახულე... დიდი ხანი არ არის, რაც მოხუცმა ავტომობილის კატასტროფის დროს მხედველობა დაჰკარგა. დაიბადა 1840 წელს... 14 შვილიშვილი და ათი შვილიშვილისშვილი ჰყავს. მას კარგად ახსოვს ბატონყმობის გადავარდნა.

ასწლოვანებთან კიდევ ბევრი საინტერესო შეხვედრა, ნახულით და გაგონილით მიღებული შთაბეჭდილებებია აღწერილი პარიზში გამოცემულ წიგნში — „ჩვენ 150 წელიწადს ვიცოცხლებთ", რომელიც ამ დღეებში პროფესორმა გრიგოლ ფიცხელაურმა პარიზიდან მიიღო ავტორის სამახსოვრო წარწერით.

თავში „მოგზაურობა ასწლოვანთა ქვეყანაში" ჟილბერ ჟენზაკი დადებითად ახასიათებს ქართველი მეცნიერის გამოკვლევებს სიცოცხლის გახანგრძლივების დარგში, მოჰყავს მის მიერ ჩატარებული 1.000 მოხუცის ცხოვრების ღრმად შესწავლის შედეგები და ამ საინტერესო მონაცემების საფუძველზე წერს: „ფიცხელაური ფიქრობს, რომ დღეგრძელობის ძირითადი ფაქტორებია მოხუცთა შრომა, ქვეყნის რელიეფი და ჰავა, მრავალი მინერალური წყარო, აგრეთვე მრავალფეროვანი საჭმელები თაფლსა და ყურძენს იგი სიცოცხლის გახანგრძლივების მეტად მნიშვნელოვან საშუალებად თვლის".

ავტორი სინანულით აღნიშნავს, რომ ვერ შეძლო საქართველოში მცხოვრები ყველა ღრმა მოხუცის გაცნობა. „საამისოდ ხომ საჭირო იქნებოდა რამდენიმე თვე".

წიგნში მოთავსებულია საქართველოს დღეგრძელი მოხუცების ფოტოსურათები. აი ისინი ცეკვავენ. „ჩვენ ოთხი საუკუნე ვიცოცხლეთ", — ასეთი წარწერა აქვს დათა ანუას, სამუელ ზანთარიას, მუსტაფა ჩარჩალიასა და კუტა ზანთარიას სურათს. ქრისტეფორე ჯავაშვილის პორტრეტის ქვეშ ვკითხულობთ: „103 წლისაც კი ჩინებული ხუმარა, ცოცხალი და გონებამახვილია". ფრანგი მწერლის ნაწარმოები იმითაც ძვირფასია, რომ შეიცავს მდიდარ საცნობარო მასალას სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ბრძოლის ისტორიიდან.

სასურველია ამ საინტერესო წიგნის ქართულად გამოცემა.

ი. ჯავახიშვილი.

• • •

სურათზე: ჟილბერ ჟენზაკის წიგნის ყდა.




# „კომუნისტი" სპორტი

## გლედის ტურნირზე

იუგოსლავიის ქ. ბლედში გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მესამე ტური.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტალმა დაამარცხა ოლაფსონი, გელერმა — ივკოვი, ბისპაიერმა — კერესი. პეტროსიან-დარგას პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

## ორი ნახევარფინალის შედეგები

ნოვგოროდში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში ვაჟთა შორის.

გამარჯვება და დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა რ. ხოლმოვმა (სოჭი), რომელმაც 16 შესაძლებლიდან 13 ქულა შეაგროვა. ფინალში გავიდა აგრეთვე ხარკოველი ვ. სავონი (11,5 ქულა).

ირკუტსკში თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ასპარეზობა ქალთა შორის.

პირველი ადგილი და მასთან ერთად ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ნახიმოვსკაიამ, რომელმაც 13 შესაძლებლიდან 9,5 ქულა შეაგროვა. სამმა მოჭადრაკემ — კუშნირმა, კაცკოვამ და ფილანოვსკაიამ ცხრა-ცხრა ქულა შეაგროვეს. მეორე ფინალისტის გამოსავლენად მათ შორის მოეწყობა დამატებითი მატჩი.

## „ბ" კლასის გუნდების ასპარეზობა

გუშინ რუსთავში შედგა რესპუბლიკათა „ბ" კლასის გუნდების ასპარეზობა ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „მეტალურგისა" და აშხაბადის „კოპეტ-დაგის" გუნდები. გაიმარჯვეს რუსთაველმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0.

## მატჩები კალათბურთში

საკავშირო პირველობის მეორე წრის მორიგი მატჩები კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის გაიმართა კიევსა და ლენინგრადში.

კიევში ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი მოსკოვის „დინამო" შეხვდა უკრაინის დედაქალაქის ფიზკულტურის ინსტიტუტის სასპორტო კლუბის გუნდს და დამარცხება განიცადა ანგარიშით 64:74.

ლენინგრადში თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკისა" და რიგის არმიის სასპორტო კლუბის კალათბურთელთა კოლექტივები. მატჩის შედეგია 78:54 რიგელთა სასარგებლოდ.

დღეისათვის 10 თამაშიდან შეგროვილი 9 ქულით ლიდერობას ცსკა ინარჩუნებს. მოსკოვის დინამოელებს 12 თამაშიდან 8 ქულა აქვთ და მეორე ადგილზე იმყოფებიან. ექვს-ექვსი ქულა აქვთ კიევის სკიფს, თბილისის „დინამოსა" და რიგის სკას. პირველს ეს ქულები 8 თამაშიდან აქვს, მეორეს — 10 შეხვედრიდან, მესამეს — 11 მატჩიდან.

## სპარტაკელთა პირველი გამარჯვება

დანიაში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა კოლექტივი.

პირველი მატჩი სპარტაკელებმა გამართეს ცნობილი საკლუბო გუნდის „ალიანსენის" წინააღმდეგ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1.

თამაში მიმდინარეობდა წვიმიან ამინდში. ორი ბურთი დანიელთა კარში გაიტანა აღამოვმა, ხოლო თითო — სევიდოვმა და ისაევმა.

სპარტაკლები დანიაში კიდევ ორ მატჩს მოაწყობენ.

## მსოფლიო და ევროპის რეკორდები

ყაზანში დამთავრდა რსფსრ პირველობა მძლეოსნობაში. გუშინ დიდი წარმატება მოიპოვა მ. ლავროვმა, რომელმაც 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. დრო — 4 საათი და 49,8 წამი.

უკრაინის მძლეოსანთა ასპარეზობაში ი. კუტენკომ 8.360 ქულა შეაგროვა ათჭიდში და ევროპისა და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა.

## სპორტული ქრონიკა

☐ საბჭოთა კავშირში ტურნეს მართავს შვეციის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი. მორიგი საერთაშორისო მატჩი სტუმრებმა გამართეს კიევში უკრაინის ნაკრებთან. მატჩი დამთავრდა საბჭოთა მოჭიდავეების გამარჯვებით ანგარიშით 7:1. ერთად-ერთი გამარჯვება თავის გუნდს მოუტანა ბ. ბენგტსონმა.

☐ მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა კოლექტივი საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად რუმინეთში გაემგზავრა. ლოკომოტიველები რუმინეთში გამართავენ სამ შეხვედრას. პირველი მატჩი მათ ექნებათ ამავე ქვეყნის მეორე ნაკრებთან.

## პელე გაიყიდა

როგორც ცნობილია, ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟანიო კუადროსმა თავის იძულებით გადადგომამდე ფეხბურთის პროფესიონალურ კლუბებს მიუთითა გაფრთხილებოდნენ ეროვნული ნაკრების მოთამაშეებს, რომლებმაც ფეხბურთის მოედნებზე ბრაზილიას დიდება მოუტანეს, არ დაეთმოთ ისინი უცხოელი სპეკულანტებისათვის. ამით პირველ რიგში კოვზი ნაცარში ჩაუვარდა მადრიდის „რეალის" პატრონს — სანტიაგო ბარნაბეუს, რომელსაც სიზმარშიც კი პელე ელანდება.

მაგრამ ფეხბურთელებით მოვაჭრეებმა მაინც მონახეს გამოსავალი. კუადროსის აკრძალვა მხოლოდ 1962 წლის 1 ივლისამდე, ე. ი. მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე გრძელდება. ამიტომ იტალიის ჩემპიონ „იუვენტუსის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა დაესწრო სხვა მტაცებლებისათვის და ახლავე გააბა პელეს კლუბ „სანტოსთან" მოლაპარაკება. ამ იტალიურ კლუბს მფარველობს და აფინანსებს ტურინის „ფიატის" პატრონი, ამიტომ „იუვენტუსის" მწვრთნელ შვედ ჰუნარ გრენს ხელები გახსნილი აქვს. თავის დროზე გუნდმა „მამასისხლად" შეიძინა საერთაშორისო კლასის ორი ფეხბურთელი: უელსის ნაკრების ცენტრფორვარდი ჯონ ჩარლზი და განთქმული არგენტინელი თავდამსხმელი ომარ სივორი.

როგორც გერმანულ ჟურნალ „ფუსბალ-ვოხეს" კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, „იუვენტუსმა" წარმატებით დაასრულა მოლაპარაკება. „შავი მარგალიტი" პელე ტურინში ითამაშებს 1962 წლის 1 ივლისიდან. მასში იტალიელებმა „სანტოსს" გადაუხადეს „ასტრონომიული თანხა", რომელიც გერმანულ ფულზე გადაყვანით 3,5 მილიონ მარკას უდრის. აქამდე სარეკორდოდ ითვლებოდა თანხა, რომელიც „ინტერნაციონალემ" გადაიხადა ესპანელ ფორვარდ ლუის სუარესში. დღეიდან კი პელე ყველაზე უფრო „ძვირი" ფეხბურთელია მსოფლიოში.

## ვინ ითამაშებს სსრ კავშირის ნაკრებში?

სსრ კავშირისა და ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები ემზადებიან მომავალი საერთაშორისო შეხვედრებისათვის. ამ ქვეყნების პირველ ნაკრებთა შეჯიბრება მოეწყობა მოსკოვში 10 სექტემბერს, ხოლო მეორე ნაკრებთა ასპარეზობა — ვენაში ერთი დღით ადრე.

ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში არიან: მეკარე ვ. მასლაჩენკო და ლ. იაშინი; მცველები — ე. დუბინსკი, ა. შესტერნევი და გ. ჩოხელი; ნახევარმცველები — ვ. ვორონინი, ი. ნეტო, ე. ჟურავლიოვი და ნ. მანოშინი; თავდამსხმელები — ს. მეტრეველი, ვ. ივანოვი, ა. მამიკინი, ყ. ამბარცუმიანი, მ. მესხი და ვ. კანევსკი.

ავსტრიის ნაკრები ახლა ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია. გასულ წელს მათ დაამარცხეს ესპანეთის, სსრ კავშირისა და იტალიის გუნდები 3:0, 3:1, 2:1.

## „აგიტატორის ბლოკნოტი" № 17

გამოვიდა ჟურნალი „აგიტატორის ბლოკნოტი" № 17. მასში გამოქვეყნებულია შემდეგი მასალები: ბ. პაიჭაძე — განიხილავენ, სწავლობენ დიადი მომავლის პროგრამას; ა. შეროზია — პროგრამის პროექტის განხილვა და შესწავლა — ყურადღების ცენტრში; კ. დათეშიძე — მძლავრი აღმავლობის ციფრები; ვ. პლატკოვსკი — მეცნიერული კომუნიზმის ახალი სიტყვა; კ. ცქიტიშვილი — ბულგარელი ხალხი სოციალიზმს აშენებს; ა. ნაგებაშვილი — საზავო ხელშეკრულება უნდა დაიდოს და სხვ.

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 9 სექტემბერს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

7 სექტემბერი



თეატრები: რუსთაველის სახელობის — ჰამლეტი, გრიბოედოვის სახელობის — მედოლე ქალი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ჩიკორი (აბონ. № 11, დილის 10 ს.). ფილარმონიის საზაფხულო — საესტრადო წარმოდგენა — გკიცნობდეთ!

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი „პანი ლულსკაიას მორალი", 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ფანქარას გამოფენაზე", 18.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.35 — გადაცემა ციკლიდან „რუსული რომანსის პიონერები" — ა. ალიაბიევი, 19.10 — კინონარკვევი, 19.40 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 20.00 — ახალი ამბები, 20.15 — მხატვრული ფილმი „საუკუნის თანატოლები".

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-80-84, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 05654

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.